საქართველოს რესპუბლიკა

www.sakresp.ge



იმისთანა წმინდა საქმეში, რიგიერიც ბეჭდვური სიტყვაა, ტყუილებით და ჭორებით ბუტრთის გაფანა ყველა უკადრისობაზე უსაძაგლესია.

ხუთშაბათი, 3 მარტი. 2016 წ. №41 (7933), გამოცემის 98-ე წელი | ელ.ფოსტა: sakresp@mail.ru და sakresp@top.ge | ფასი 50 თეთრი.

ღმერთო, დედები გვიცოცხლე!

როინ მეტრეველი

შვიდ საუფლოდ განწესებული

6

„რუსთაველის ეპოქის საქართველოს ისტორია“

აღიარებული იტალიელი სოლისტები განახლებულ ოპერის თეატრში!!!

დღეს „იავნანა“ და თბილისის ოპერისა და ბალეტის თეატრი ფონდის 12 წლის იუბილეესთან დაკავშირებით ერთობლივ საქველმოქმედო სპექტაკლს გამართავენ.

„იავნანას“ მოწვევით ჯუზეპე ვერდის ოპერაში „ატილა“ ქართველ სოლისტებთან ერთად მთავარ პარტიებს მსოფლიოში აღიარებული იტალიელი საოპერო მომღერლები შეასრულებენ: ჯოვანი ბატისტა პაროდი (ბანი), კიარა ტაიჯი (სოპრანო) კარმელო კორადო კარუზო (ბარიტონი). სოლისტები: ოთარ ჯორჯიკია (ტენორი), თამაზ საგინაძე (ტენორი), ტარიელ ჭიჭინაძე (ბანი). საქველმოქმედო სპექტაკლით შემოსული თანხა სოციალურად დაუცველ მრავალშვილიანი ოჯახებისა და წარჩინებული სტუდენტების თანადგომას მოხმარდება.

ღირს კი ეს ფული ამდენი?

5

„ვეფხისტყაოსანი“ რომ გაქვს და კითხულობ, რას ნიშნავს კულტურული მრავალფეროვნებაო, ეს უკვე უგუნურებაა“...

დედის ტყვიის კვალზე

10

ოვალური ბურთიდან – შტაიერამდე

პაპუაშვილს ჩვენი საზოგადოება პაპუასების გაერთიანება ხომ არ ჰგონია?!

როგორია საკონსტიტუციო სასამართლოს თავმჯდომარის ზნეობრივი სახე?

3

დემოკრატიის ნიღბით თავზე ლაფის დასხმა სრული მარაზმია!

4

სისხლის სამართლებრივი სანქციები არის გამოხატვის თავისუფლებაში ჩარევის ყველაზე მძიმე ფორმა

უცხოური ვალუტის კურსი:

აშშ დოლარი - 2.4668; ევრო - 2.6826;
ბრიტანული გირვანქა სტერლინგი - 3.4545;
100 რუბლი - 3.3451; თურქული ლირა - 0.8378;
აზერბაიჯანული მანათი - 1.5547;
1000 სომხური დრამი - 5.024

ამინდი 3 მარტისთვის

აღმოსავლეთი საქართველო:		
ბარი -	ღამე +4,	დღე +23
მთიანი რაიონები -	ღამე 0,	დღე +23
დასავლეთი საქართველო:		
ბარი -	ღამე +12,	დღე +29
მთიანი რაიონები -	ღამე +5,	დღე +26
თბილისი:	ღამე +8,	დღე +20

ჩვენი მისამართია:

თბილისი, მაჩაბლის ქ. №7
ტელ: 293-37-87, 599-79-76-79

WWW.SAKRESP.GE

გიმასპინძლებთ საქართველოში...

როგორც ვიუწყებოდით, სასტუმრო ინდუსტრიის შემდგომი განვითარების მიზნით, მთავრობის გადაწყვეტილებით, რეგიონებში მცხოვრები მოსახლეობისთვის პროგრამის „აწარმოე საქართველოში“ ფარგლებში ახალი კომპონენტი „უმასპინძლე საქართველოში“ ამოქმედდა.

1 მარტს მშენებარე სასტუმროში „ინტერკონტინენტალი“ აღნიშნული კომპონენტის პრეზენტაცია გაიმართა, რომელსაც ხელისუფლების, დიპლომატიური კორპუსის, დონორი ორგანიზაციებისა და სასტუმრო ინდუსტრიის წარმომადგენლები დაესწრნენ.

პრეზენტაციაზე დამსწრე საზოგადოებას საქართველოს პრემიერ-მინისტრმა გიორგი კვირიკაშვილმა მიმართა.

„დღევანდელი პროგრამა უმნიშვნელოვანესია, ვინაიდან ეს პირდაპირ კავშირშია ტურიზმის განვითარებასთან. ჩვენ გვაქვს ვიზიტორების მზარდი რაოდენობა. უკანასკნელ რამდენიმე თვეში განსაკუთრებით პოზიტიური დინამიკა შეინიშნება და ინფრასტრუქტურამ უნდა აუწყოს ფეხი ამ დინამიკას. აღნიშნული პროგრამის მიხედვით, რეგიონებში ბიზნესწრეების წარმომადგენლებს, ჩვენს მოსახლეობას ექნება საშუალება ახალი სასტუმრო კომპლექსები დააფინანსონ სახელმწიფოსთან ერთად. სახელმწიფო მოახდენს ამ პროექტების თანადაფინანსებას. ეს პროგრამა იწყება იმ დროს, როდესაც ჩვენ დავაანონსეთ ახალი პროგრამა, რომლის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი კომპონენტია საქართველოს რეგიონებში ინფრასტრუქტურის განვითარება. პროგრამა „უმასპინძლე საქართველოში“ მიხედვით, სასტუმროებს საშუალება ექნებათ, გააფორმონ ხელშეკრულებები საერთაშორისო ბრენდებთან და სახელმწიფო მოახდენს ამ ხელშეკრულებების თანადაფინანსებას“, — განაცხადა პრემიერმა.

გიორგი კვირიკაშვილის თქმით, მთავრობა მუშაობს 4-სეზონიანი კურორტების განვითარების მიმართულებით იქმნება ახალი ინფრასტრუქტურა, როგორც მთის კურორტებზე, ისე მთელი საქართველოს მასშტაბით, მუშავდება ახალი ტურისტული პროდუქტები.

ჩერნოვეცკისეული „ბედნიერი საქართველო“

„ბედნიერი საქართველოსთვის“ დამფუძნებელი ლეონიდ ჩერნოვეცკი საარჩევნო სიის ფორმირებას იწყებს. იგი საზოგადოებას პარტიული სიის პირველი 25 ადამიანის შესარჩევად საკუთარ კრიტერიუმებს „ფეისბუქის“ გვერდზე აცნობს.

„აბსოლუტურად ღიად და საჯაროდ ვიწყებ პოლიტიკური მოძრაობის „ბედნიერი საქართველოსთვის“ პარტიული სიის ფორმირებას, კერძოდ, პირველი 25 ადამიანის შერჩევას.

გულწრფელად მინდა პარლამენტში ღირსეული და პატრიოტი ხალხი მოვიყვანო, რომლებიც პოლიტიკურ ცხოვრებაში არასდროს არ ყოფილან ჩართულნი და რომლებსაც ნათელი გონება და პატიოსნება ახასიათებთ. ისინი, ვინც ქმნიან სამუშაო ადგილებს და ზრუნავენ ხალხზე. ადამიანები, რომლებიც უბრალო ცხოვრებით ცხოვრობენ და ისეთივე პრობლემები აქვთ, როგორიც ქართველი ხალხის უმრავლესობას!

მათ შორის მე მსურს, დავინახო:

1. წარჩინებული კურსდამთავრებულები;

2. რეგიონების პატივცემული წარმომადგენლები, რომლებსაც თავიანთ რეგიონებში მცხოვრები მოსახლეობის ინტერესების დაცვის გამოცდილება აქვთ;

3. პატიოსანი მეწარმეები, გარდა ისეთებისა, რომლებიც სხვადასხვა მთავრობის მფარველობის ქვეშ იყვნენ და, ფაქტობრივად, ძარცვავდნენ ხალხს ბიზნესის სახელით;

4. მრავალშვილიანი მშობლები, რომლებსაც აქტიური სამოქალაქო პოზიცია აქვთ;

5. ეროვნული უმცირესობების წარმომადგენლები;

6. შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა წარმომადგენლები;

7. მოქალაქეები, რომლებიც საბანკო სექტორის თვითნებობით დაზარალდნენ;

8. საქართველოს სამხედრო და სხვა ძალოვანი სტრუქტურების ყოფილი წარმომადგენლები.

ეს ადამიანები გაივლიან ჩემთან გასაუბრებას მომავალ პარლამენტში მუშაობასთან დაკავშირებით.

მათ უნდა დაწერონ საქართველოში არსებული პრობლემების გადაჭრის საკუთარი ხედვა. საკანონმდებლო ინიციატივების დასაწერად კი საქართველოს საუკეთესო იურისტებისგან დაკომპლექტებულ სამუშაო ჯგუფს შევქმნი.

ჩემთან ერთად პარლამენტში მივიწვევ ასევე იმათ, ვინც წინასაარჩევნო პროცესში საკუთარი ქვეყნისა და ხალხის მიმართ ნამდვილ პატრიოტიზმს გამოიჩენს და ჩემსავით ევროინტეგრაციის, ქვეყნის გამთლიანებისა და დაკარგული ტერიტორიების დაბრუნების მომხრე იქნება“, — წერს ჩერნოვეცკი და მის გუნდში მოხვედრის მსურველებს რეზიუმეების გაგზავნას სთავაზობს.

ახალი ბინები დევნილებისთვის

საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა მინისტრი სოზარ სუბარი და ვიცე-პრემიერი, ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრი დიმიტრი ქუმსიშვილი 132 დევნილ ოჯახს შეხვდნენ, რომლებსაც დადიანის ქუჩაზე ახალაშენებულ კორპუსში ბინები გადაეცათ.

სამინისტრომ დადიანის ქუჩაზე არსებული 132 ბინა, მენაშენეებისგან საცხოვრებელი ფართების შესყიდვის პროექტის ფარგლებში, შპს „ლიტ ჯეო ინვესტი“-სგან კონკურსის საფუძველზე შეიძინა.

დადიანის ქუჩა №7-ში დევნილ ოჯახებს საცხოვრებელი ფართები გრძელვადიანი განსახლების კრიტერიუმების შესაბამისად გადაეცათ. 132 ბინიდან 84-ერთოთახიანია, 24 — ოროთახიანი, ხოლო 24 — სამოთახიანი, — აცნობეს მედიანიუსს ლტოლვილთა სამინისტროდან.

დევნილთა და განსახლების სამინისტროს მიერ საბუთები გადაგზავნილია ეკონომიკის სამინისტროში, რის შემდეგაც დევნილი ოჯახებისთვის საცხოვრებელი ფართების დაკანონების საკითხს მთავრობა განიხილავს.

კანონი ყველასთვის კანონია!

ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა მინისტრის სოზარ სუბარის განცხადებით, დევნილი ოჯახი, რომელიც კომუნალური დავალიანებების დასაფარად ყოველთვიურად 15 ლარს არ გადაიხდის, ელექტროენერგიას და გაზს ჩაუჭრიან.

ამის შესახებ სოზარ სუბარმა იმ კითხვის საპასუხოდ განაცხადა, რომლის თანახმადაც, წეროვანის დასახლებაში დევნილი მოსახლეობის ნაწილს დაგროვილი კომუნალური გადასახადების გამო გაზი და ელექტროენერგია აქვს ჩაჭრილი.

„ეს დავალიანებები გროვდება და გროვდება. გავაფრთხილეთ, რომ ყველამ უნდა დაიწყოს გადახდა. შარშან მაქსიმუმი გავაკეთეთ. მთელი ეს დავალიანება, რომელიც ზოგიერთი ოჯახისთვის 50 ლარი, ზოგიერთისთვის კი 2000 ლარი იყო, გავანაწილეთ ისე, რომ თვეში 15 ლარზე მეტის გადახდა არ უწევთ. ოჯახი, რომელიც დავალიანებებიდან 15 ლარს არ გადაიხდის, მას, ბუნებრივია, ჩაუჭრიან“, — განაცხადა სუბარმა.

მისივე თქმით, დავალიანებები ხშირ შემთხვევაში ბევრ ისეთ ოჯახს აქვს, რომლებიც არც სოციალურად დაუცველები არიან, არც გაჭირვებულები და ზოგ შემთხვევაში არც დევნილები არიან.

პრეზიდენტმა 155 მსჯავრდებული შეიწყალა

ამის შესახებ შეწყალების კომისიის თავმჯდომარემ ზვიად ქორიძემ გუშინ გამართულ ბრიფინგზე განაცხადა.

„155 მსჯავრდებულიდან 105 მსჯავრდებული სრულად არის შეწყალებული, ისინი საპატიმრო სასჯელიდან გათავისუფლდნენ და საპატიმრო დაწესებულებას დატოვებენ. 50 მსჯავრდებულის სასჯელი კი შემცირებულია სხვადასხვა ფორმით. აღნიშნული გადაწყვეტილება პრეზიდენტმა მიიღო შეწყალების საქმეთა კომისიის 21-23 თებერვლის სხდომის შედეგად ჩამოყალიბებული რეკომენდაციების საფუძველზე. ამ სხდომაზე კომისიამ განიხილა 1178 პირის საქმე და დადებითი რეკომენდაციები წარუდგინა პრეზიდენტს“, — განაცხადა ზვიად ქორიძემ.

მისივე ინფორმაციით, 105 მსჯავრდებულიდან, რომლებიც საპატიმროებს დატოვებენ, 8 ქალია.

ბესელიას ბრალდებებზე გამოძიება აუცილებლად უნდა დაიწყოს

შეწყალების კომისიის თავმჯდომარე ზვიად ქორიძე აცხადებს, რომ ეკა ბესელიას მიერ ალეკო ელისაშვილის მიმართ წაყენებულ ბრალდებებთან დაკავშირებით გამოძიება აუცილებლად უნდა დაიწყოს. მისი თქმით, საკმაოდ უპასუხისმგებლოა, როდესაც საზოგადოებას აჯერებენ იმაში, რომ შეიძლება შეწყალების მექანიზმში იყოს გამოყენებული კორუფციისა და სხვადასხვა მანკიერი ხასიათის პროცედურები.

„რამდენადაც საჯარო სივრცეში ვუსმენდი ალეკო ელისაშვილის საპასუხო განცხადებებს, ის მოითხოვს, რომ ამ თემაზე გამოძიება დაიწყოს, რაც შეიძლება დროულად და ეფექტურად, რადგან თავად არის დარწმუნებული და მე პირადადაც დარწმუნებული ვარ, რომ ასეთ ფაქტს არ შეიძლებოდა ადგილი ჰქონოდა, თუმცა გამოძიება აუცილებლად უნდა წარიმართოს და ყველა ასეთ გაუგებრობას და კითხვას დროულად უნდა გაეცეს პასუხი. ჩემთვისაც, ისევე როგორც ფართო საზოგადოებისთვის, უცნობია, რომელ საქმეზე რომელი მსჯავრდებულის წერილია და რატომ ითხოვდა, თუ ითხოვდა ვინმე, გათავისუფლებისთვის გასამრჯელოს. ეს არის წარმოუდგენელი. მე წელიწადი და რვა თვეა, ამ კომისიის ხელმძღვანელი ვარ. მანამდე კომისიის წევრი ვიყავი. მინდა, კიდევ ერთხელ დავარწმუნო საზოგადოება და, პირველ რიგში, დავარწმუნო თავად მსჯავრდებულები, რომ ეს პრაქტიკა ბუნებაში არ არსებობს“, — განაცხადა ზვიად ქორიძემ.

ეკა ბესელიას განცხადებით, მსჯავრდებულისგან მიიღო წერილი, სადაც ალეკო ელისაშვილის შეწყალების კომისიის თავმჯდომარეობის პერიოდში უკანონო ფაქტებთან დაკავშირებითაა საუბარი. მისი თქმით, მსჯავრდებულმა მას მიაწოდა ინფორმაცია, რომ ელისაშვილმა დადებითი რეკომენდაციის სანაცვლოდ, ადვოკატს 50 000 ლარი მოსთხოვა.

ხიდაშელი თოფაძეს პარლამენტს ვერ დაატოვებინებს

პარლამენტის საფინასო-საბიუჯეტო კომიტეტის თავმჯდომარის თამაზ მეჭიაურის განცხადებით, მორალურად მხოლოდ ერთ კაცს აქვს უფლება, მიუთითოს სხვებს დატოვოს პარლამენტი. ამის შესახებ დეპუტატმა თავდაცვის მინისტრ თინა ხიდაშელის მიერ, გოგი თოფაძესთან დაკავშირებით გაკეთებული განცხადების შეფასებისას განაცხადა.

„იურიდიულად მგონი, არავის არ აქვს უფლება სხვისთვის მანდატის ჩამორთმევის, გარდა მთლიანად პარლამენტისა, ისიც განსაკუთრებულ შემთხვევაში. მორალურად შეიძლება ერთ კაცს ჰქონდეს უფლება მიუთითოს ვინმეს, რომ დატოვოს პარლამენტი. ეს ის კაცია, ვინც ისინი გაიყვანა“, — განაცხადა მეჭიაურმა.

თავდაცვის მინისტრმა თინა ხიდაშელმა „არჩევანში“ განაცხადა, რომ გოგი თოფაძეს პოლიტიკური წონა არ გააჩნია, „ანუ გინდ ყოფილა, გინდ არა?!“, დასძინა მინისტრმა.

თუ თოფაძე დატოვებს, პარტიაც მასთან ერთად დატოვებს კოალიციას

პარტია „ქართული ოცნება — მრეწველების“ მდივანი ზურაბ ტყემალაძე აცხადებს, რომ გოგი თოფაძე კოალიციას არ დატოვებს.

როგორც ტყემალაძემ ჟურნალისტებს პარლამენტში განუცხადა, შესაბამისი გადაწყვეტილების შემთხვევაში გოგი თოფაძე და „მრეწველები“ ერთად დატოვებენ კოალიციას.

რაც შეეხება „მრეწველებისა“ და რესპუბლიკელების ურთიერთობას, როგორც ტყემალაძე ამბობს, დაპირისპირება თინა ხიდაშელის მხრიდან გოგი თოფაძის მისამართით გაკეთებულმა „უტაქტო“ განცხადებამ გამოიწვია.

მალე ევროპას უვიზოდ ვეწვევით

„დარწმუნებული ვართ, რამდენიმე თვეში, საქართველოს მოქალაქეებს შეეძლებათ თავისუფლად იმოგზაურონ ევროპაში“, — ამის შესახებ ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა მინისტრმა სოზარ სუბარმა განაცხადა.

— დარჩენილია პოლიტიკური ნაწილი და პოლიტიკურ ნაწილზეც გვაქვს აბსოლუტური მხარდაჭერა. თავიდანვე, როგორც ითქვა, რამდენიმეთვიანი პროცედურაა, რაც ამ პროცედურების გავლას სჭირდება, — განაცხადა მინისტრმა.

პაპუაშვილს ჩვენი საზოგადოება პაპუასების გაერთიანება ხომ არ ჰგონია?!

როგორია საკონსტიტუციო სასამართლოს თავმჯდომარის ზნეობრივი სახე?

სანდრა რულოვსი ნაციონალური მოძრაობის სიის პირველი ნომერი იქნება თუ არა, არ ვიცი, მაგრამ სრულიად მოსალოდნელია, რომ ამ წუსხის სათავეში, პირველ ათეულში, საკონსტიტუციო სასამართლოს თავმჯდომარე გიორგი პაპუაშვილი მოევლინოს — თანაც, წამებულის სახით, როგორც მოქმედი ხელისუფლებისგან პოლიტიკური ნიშნით დევნილი პირი... მას თავმჯდომარეობის ვადა ივნისში ეწურება და სრული უფლება ექნება, საზოგადოების წინაშე წარსდგეს. კი, ბატონო, მაგრამ, რამდენად ღირსეულად, საკითხავი აი, ეს არის!

„ახალგაზრდა ადვოკატები“ გიორგი პაპუაშვილს უკვე დიდი ხანია, დანასისხლად არიან გადაკიდებული, სწორედ იმის გამო, რომ მოსამართლეს უსამართლოდ მიიჩნევენ, ასევე იმ ქონებას, რომელიც სადავოა. ამაზე ცოტა ქვემოთ...

მას შემდეგ, რაც ცნობილი გახდა, რომ პაპუაშვილმა ევროსასამართლოში საქართველოს მოსამართლის შესარჩევ კონკურსში მონაწილეობა გადაწყვიტა, „ახალგაზრდა ადვოკატებმა“ სიფრთხილისკენ მოუწოდეს სამთავრობო კომისიას, რომელსაც მოსამართლეები უნდა შეერჩია და რომელსაც იუსტიციის მინისტრი ხელმძღვანელობდა. შესაბამისად, გიორგი პაპუაშვილი ხუთეულში ვერ გავიდა. ამან საბაბი მისცა საკონსტიტუციო სასამართლოს თავმჯდომარეს, კომისიის მიერ პოლიტიკური ელფერით მიღებულ გადაწყვეტილებაზე ესაუბრა. როგორც იუსტიციის მინისტრმა საჯაროდ განაცხადა, მან დაუსვა კითხვა კანდიდატს, გრძნობდა თუ არა დისკომფორტს, როცა სააკაშვილის ნაჩუქარ სხვისთვის წართმეულ სახლში ცხოვრობდა?.. პაპუაშვილმა უპასუხა, რომ მაინცდამაინც უხერხულობას არ გრძნობდა... რას ნიშნავს ეს? — იმას, რომ აღიარებს, თან არც აღიარებს, რომ ჩამორთმეულ სახლში არ უნდა ცხოვრობდეს... ამის მიუხედავად, საკონსტიტუციოს თავმჯდომარე დღემდე ამ ქონებაზე დავობს.

რა შუქ-ჩრდილები ასლავს პაპუაშვილის პროფესიულ რეპუტაციას?

2004 წელს, როცა „ვარდების რევოლუციის“ შემდეგ ასლან აბაშიძესთან დაკავშირებული პირების არაადამიანური დევნა დაიწყო, მათ რიცხვში სარფის გამშვები პუნქტის დირექტორის მოადგილე როლანდ ბლადაძეც აღმოჩნდა. მისგან ასლან აბაშიძის წინააღმდეგ ჩვენების მიცემას მოითხოვდნენ, რაზეც არ დასთანხმდა. მაშინ პროკურატურამ მას საზღვარზე პალმების განუბაჟებლობის გამო — სამსახურებრივი უფლებამოსილების გადამეტების ბრალდების საქმე აღუძრა და დააკავა. ზუსტად ამ დროს 2004 წელს იცვლება სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობა, რომლის მიხედვითაც, თუკი პირის წინაშე აღძრავდნენ სისხლის სამართლის საქმეს, პროკურატურას დადგენილების საფუძველზე (სასამართლოს ბოლო გადაწყვეტილებამდე) უფლება ჰქონდა, მიემართა ადმინისტრაციული სასამართლოსთვის, და მოეთხოვა პირის ქონების კონფისკაცია.

ბლადაძის შემთხვევაში სწორედ ასე მოხდა... პროკურატურამ მოითხოვა მისი ქონების ჩამორთმევა, რაც დაკმაყოფილდა. თუმცა, იცოდნენ რა, რომ მას მხოლოდ ერთი ბინა გააჩნდა ბათუმში, ამიტომ ისეთი ქონებები მიაწერეს, რომელიც ბუნებაში არ არსებობდა. ქონება ისე ჩამოართვა სასამართლომ, ადვოკატებსაც კი არ შეატყობინეს. ნოემბრის ცივ, სუსხიან დღეს როლანდ ბლადაძის ოჯახი, სამი მცირეწლოვანი ბავშვით სახლიდან გამოყარეს. ბლადაძეს ამ დროს უკვე დატოვებული ჰქონდა ქვეყანა.

სასამართლო ედავებოდა, რომ როლანდ ბლადაძემ არაკეთილსინდისიერად ნაშოვნი ფულით იყიდა ქონება, მაგრამ ის არ გაითვალისწინეს, რომ ის 2001-2004 წლებში იყო თანამდებობის პირი, ხოლო ეს ბინა შეძენილია 1999 წელს.

2004-2007 წლებში მიმდინარეობდა უშედეგო სამართლებრივი ბრძოლა. არ დარჩა უწყება, სადაც შესაბამისი კომპეტენციის ფარგლებში ხმა არ მიაწვდინეს ადვოკატებმა. ამ საქმეში ჩართული იყო უფლებადამცველი ელენე თევდორაძე. და მაინც, ყველაფრის მიუხედავად, როცა ბათუმში გადასულ საკონსტიტუციო სასამართლოს წევრებს მიხეილ სააკაშვილმა ჩამორთმეული ბინები 1000 ლარად მიჰყიდა, გიორგი პაპუაშვილმა სწორედ როლანდ ბლადაძის ბინას დაადგა თვალი. ელენე თევდორაძის რჩევის მიუხედავად, ის ჯერ კიდევ სადავოდ მიჩნეული ქონების მეპატრონე გახდა (სხვათა შორის, საკონსტიტუციო სასამართლოს ერთ-ერთმა წევრმა ჯონი ხეცურიანმა სადავო ქონების ჩუქებაზე უარი თქვა).

დღეს გიორგი პაპუაშვილი, რომელიც ვალდებულია, მხოლოდ სამართლებრივი არგუმენტებით იმსჯელოს, საჯაროდ აცხადებს, რომ როლანდ ბლადაძე იყო კორუმპირებული ჩინოვნიკი, რომელიც რუსეთში გაიძცა, იძ ეწევა ნარკობიზნესს და ა. შ. მაგრამ არაფერს ამბობს მთავარ არგუმენტზე. 2013 წლის 12 აპრილს აჭარის პროკურატურამ ბლადაძის სარჩელის საფუძველზე, მას გაუუქმა პატიმრობა საქმეში სისხლის დანაშაულის ნიშნების არარსებობის გამო, ანუ დაადასტურა, რომ დანაშაული, რის გამოც ბლადაძეს ქონება ჩამოართვეს, არც არასოდეს მომხდარა!!!

> **„სასამართლომ დაამტკიცა, რომ როლანდ ბლადაძე დამნაშავე არ არის. თუ ასეა, რატომ ცხოვრობს მის ბინაში საკონსტიტუციო სასამართლოს თავმჯდომარე? პაპუაშვილის არგუმენტია, რომ სახელმწიფომ მაჩუქა და იურიდიულად მართალი ვარო. გასაგებია, მაგრამ რა ვუყოთ სინდისს და მორალურ მხარეს, რომელიც საკონსტიტუციოს მოსამართლეს მოეთხოვება?!“**

საქმის გაგრძელება ახალი ხელისუფლების პირობებში...

ამის შემდეგ იწყება დავა ქონების დაბრუნებაზე. თუმცა, სასამართლომ ხანდაზმულობის გამო წარმოებაში არ მიიღო. არც ახლადაღმოჩენილი გარემოება გაითვალისწინა. ეს 2008 წლამდე იყო შესაძლებელი.

ადვოკატი არჩილ კაიკაციშვილი ამბობს, **„2013-2015 წელს ძალიან ბევრი მტკიცებულება მოვიპოვეთ. მათ შორის ის, რომ 2007 წლის ნასყიდობის ხელშეკრულება, რომლის საფუძველზეც პაპუაშვილმა ბინა შეიძინა, ბათილად იქნეს ცნობილი და ის არაკეთილსინდისიერ მყიდველად იქნეს მიჩნეული. ჩვენ დავადასტურეთ, რომ პაპუაშვილი ამ ბინის გაყიდვას აპირებდა. თანაც 197 ათას ლარად. შეიძლებოდა ამ ღირებულების ქონებაში ადამიანს 1000 ლარი გადაეხადა?! ამასთანავე, საჯარო რეესტრში ქონებასთან დაკავშირებით აღმოვაჩინეთ ხარვეზები, რის გამოც ვერ შეძლო პაპუაშვილმა ბინის გასხვისება. ამის შემდეგ საქმეში ჩნდება კიდევ ორი მხარე: იუსტიციის სამინისტრო და ეკონომიკის სამინისტრო“.**

2015 წლის დეკემბერში პირველად დაედო ყადაღა პაპუაშვილის ქონებას. საკონსტიტუციო სასამართლოს თავმჯდომარემ საქმე გაასაჩივრა. ამჟამად მიდის მსჯელობა საქმის განსჯადობაზე: ვინ უნდა განიხილოს საქმე, სამოქალაქომ თუ ადმინისტრაციულმა. პარალელურად აღძრულია საქმე ავტოფარეხთან დაკავშირებითაც, რომელიც როლანდ ბლადაძეს ეკუთვნოდა, თუმცა, სასამართლოს მისთვის ის არ ჩამოურთმევია. საკონსტიტუციო სასამართლოს თავმჯდომარემ ავტოფარეხი დაისაკუთრა და დემონტაჟის სანაცვლოდ 3500 ლარიც აიღო.

2016 წლის 4 იანვარს საქალაქო სასამართლომ საქმე წარმოებაში მიიღო. ადვოკატი არჩილ კაიკაციშვილი გაოგნებულია ეკონომიკის სამინისტროს სარჩელით, რადგან მათი მტკიცებულებები ტექსტობრივადაც კი ზუსტად ანალოგიურია პაპუაშვილის მტკიცებულებების. **„შევხვდი ეკონომიკის მინისტრ ქუმსიშვილს და პირდაპირ ვამხილე მისი იურიდიული სამსახურის უფროსი პაპუაშვილის ინტერესების ლობირებაში. ეტყობა, ჯერ კიდევ განიცდიან ხელქვეითები საკონსტიტუციოს მოსამართლის გავლენას“,** — აღნიშნავს ადვოკატი.

„ევროსასამართლომ ყველაფერი კარგად იცის ამ საქმესთან დაკავშირებით, მათ რეკომენდაციებითაც კი მიმართეს ხელისუფლებას, — ამბობს არჩილ კაიკაციშვილი, — **როგორ ჰგონია პაპუაშვილს, თუნდაც რომ გაეშვათ ის კანდიდატად, ევროსასამართლოში ამ საქმის გარშემო არ ჰკითხავდნენ?! სასამართლომ დაამტკიცა, რომ როლანდ ბლადაძე დამნაშავე არ არის. თუ ასეა, რატომ ცხოვრობს მის ბინაში საკონსტიტუციო სასამართლოს თავმჯდომარე? პაპუაშვილის არგუმენტია, რომ სახელმწიფომ მაჩუქა და იურიდიულად მართალი ვარო. გასაგებია, მაგრამ რა ვუყოთ სინდისს და მორალურ მხარეს, რომელიც საკონსტიტუციოს მოსამართლეს მოეთხოვება?!“**

ადვოკატ ნანა წულაძის თქმით, ისინი პაპუაშვილის წინააღმდეგ კი არ იბრძვიან, არამედ სიმართლის დასამტკიცებლად, იმისთვის, რომ უკანონოდ ჩამორთმეული ქონება მეპატრონეს დაუბრუნდეს. **„საჯაროდ გამოდის გიორგი პაპუაშვილი და ცდილობს, საზოგადოება დაარწმუნოს, რომ თითქოს მის მიმართ პოლიტიკურად ანგაჟირებული გადაწყვეტილებები მიიღება. გაოცებული ვარ, საკონსტიტუციო სასამართლოს თავმჯდომარე ხომ ძალიან დიდი მორალის მატარებელი უნდა იყოს?! არ მოიძებნება ქვეყანა, სადაც ასეთი მაღალი თანამდებობის პირი გაბედავს და სხვისთვის ჩამორთმეულ ქონებას მიისაკუთრებს“,** — დასძენს ადვოკატი.

სავარაუდოდ, საქმის წარმოების დეტალები 10 მარტისთვის გაირკვევა. ადვოკატები ირწმუნებიან, რომ მოსამართლეს სხდომის დახურვის უფლებას არ მისცემენ. ამიტომ პროცესზე იქნებიან სახალხო დამცველის ოფისის, საერთაშორისო ორგანიზაციებისა და მედიის წარმომადგენლებიც...

თეა მოსია

SIC! SIC! SIC!

გულჩვილი ამერიკელები პეტრიაშვილს გვერდში უდგანან

აშშ-ის სახელმწიფო დეპარტამენტი, ნატო-ს ხელმძღვანელობა და საერთაშორისო დიპლომატიური მისები იმედს გამოთქვამენ, რომ ალექსი პეტრიაშვილზე განხორციელებული თავდასხმის ფაქტი უსწრაფესად იქნება გამოძიებული, — ინფორმაციას ამის შესახებ პარტია „თავისუფალი დემოკრატების“ პრესსამსახური ავრცელებს. ისინი იმედს გამოთქვამენ ასევე, რომ თავდასხმაში დამნაშავეები მკაცრად დაისჯებიან. პარტიის ინფორმაციით, ბრიჯიტ ბრინკმა, ალექსანდრე ვერშბოუმ, ჯეიმს აპატურაიმ, პეტრიაშვილის მეგობრებმა დიპლომატიური მისიებიდან, პირადად მოიკითხეს ალექსის ჯანმრთელობის მდგომარეობა და მას გამოჯანმრთელება უსურვეს.

ბუკა კარგადაა, მაგრამ დასაკითხად არავინ აკითხავს

„თავისუფალი დემოკრატების“ ერთ-ერთი ლიდერი ალექსი პეტრიაშვილი საავადმყოფიდან შესაძლოა, 3 დღეში გაიწეროს, — ამის შესახებ პეტრიაშვილის მკურნალმა ექიმმა ავთანდილ იმედაძემ ჟურნალისტებთან განაცხადა. მისივე თქმით, პაციენტი ამ დროისთვის პალატაშია გადაყვანილი. იმედაძე აცხადებს, რომ მიუხედავად მდგომარეობის გაუმჯობესებისა, სამართალდამცავებს პეტრიაშვილის დაკითხვის მოთხოვნით არ მიუმართავთ.

◎ ᲪᲘᲚᲘᲡᲬᲐᲛᲔᲑᲔᲚᲗᲐ ᲥᲕᲔᲧᲐᲜᲐ

ᲓᲔᲛᲝᲙᲠᲐᲢᲘᲘᲡ ᲜᲘᲦᲑᲘᲗ ᲗᲐᲕᲖᲔ ᲚᲐᲤᲘᲡ ᲓᲐᲡᲮᲛᲐ ᲡᲠᲣᲚᲘ ᲛᲐᲠᲐᲖᲛᲘᲐ!

ᲡᲘᲡᲮᲚᲘᲡ ᲡᲐᲛᲐᲠᲗᲚᲔᲑᲠᲘᲕᲘ ᲡᲐᲜᲥᲪᲘᲔᲑᲘ ᲐᲠᲘᲡ ᲒᲐᲛᲝᲮᲐᲢᲕᲘᲡ ᲗᲐᲕᲘᲡᲣᲤᲚᲔᲑᲐᲨᲘ ᲩᲐᲠᲔᲕᲘᲡ ᲧᲕᲔᲚᲐᲖᲔ ᲛᲫᲘᲛᲔ ᲤᲝᲠᲛᲐ

თედო კობახიძე უახლოეს დღეებში პარლამენტს ცილისწამების კრიმინალიზების ინიციატივით მიმართავს. საკრებულოს იურიდიულ საკითხთა კომისიის თავმჯდომარეს კანონში ცვლილებების შეტანა და ცილისწამების სისხლის სამართლის დანაშაულად დაკვალიფიცირება, ბოლო თვეებში, შეწყალების კომისიის საქმის ირგვლივ განვითარებული მოვლენების მოტივით სურს.

„მე საკანონმდებლო ინიციატივაზე დავიწყე მუშაობა, ეს იქნება ცილისწამება, რაც ადრე ისჯებოდა სისხლის სამართლის კუთხით. მე ამ დღეებში მივმართავ საქართველოს პარლამენტს, რომ მსგავსი დათქმა კვლავ ამოქმედდეს სისხლის სამართლის კოდექსში და მსგავსი მარაზმი, რაც დღეს საქართველოში ხდება, თავზე ლაფის დასხმა ადამიანებისთვის, აღარ მოხდეს.

ამ დღეებში მივმართავ საქართველოს პარლამენტს საკანონმდებლო წინადადებით, მექნება წარდგენილი კანონპროექტი, რომლითაც მოვითხოვ, რომ სისხლის სამართლის პასუხისმგებლობის საკითხი გახდეს ცილისწამება. ადამიანის პატივი და ღირსება არ შეიძლება ერთი ხელის მოსმით ილახებოდეს“, — აცხადებს თედო კობახიძე.

ვიცე-სპიკერის ძმა აცხადებს, რომ პატივის და ღირსების შელახვა არის სამოქალაქო დავა, რომელიც, მისი თქმით, არასწორიც კია. **„იმიტომ, რომ ეს ვერანაირად ვერ გამოისყიდის იმ პატივის და ღირსების შელახვას, ვერც ის ასეულობით თუ ათასეულობით დარიცხული ლარი, რა მაქსიმალურ ოდენობასაც სასამართლო განსაზღვრავს“,** — აცხადებს თედო კობახიძე.

კობახიძეს, როგორც თბილისის საკრებულოს წევრს, რეგლამენტით საკანონმდებლო ინიციატივის უფლება არა აქვს. მას, ისევე როგორც ნებისმიერ მოქალაქეს, აქვს საკანონმდებლო წინადადების მომზადების შესაძლებლობა. მაგრამ იმისთვის, რომ ესა თუ ის საკანონმდებლო წინადადება, საკანონმდებლო ინიციატივად იქცეს, საიას იურისტის **გიორგი გოცირიძის** განმარტებით, აუცილებელია საქართველოს მთავრობის, ან პარლამენტის წევრის, ან ფრაქციების ინიციატივად გაფორმება.

„შეგვიძლია ვთქვათ, რომ ეს არ არის ინიციატივა. თუმცა, უნდა ითქვას, რომ ამ კანონის ამოქმედება ზღუდავს გამოხატვის თავისუფლებას. ზოგადად, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს მიდგომა გახლავთ ის, რომ სისხლის სამართლებრივი სანქციები არის გამოხატვის თავისუფლებაში ჩარევის ყველაზე მძიმე ფორმა და ასეთი სახის ღონისძიება განსაკუთრებით მიუღებელია პოლიტიკური დებატების კონტექსტში“, — აცხადებს გიორგი გოცირიძე.

როგორც იურისტი განმარტავს, ასეთი სახის სანქციები ზოგადად იწვევს გამყინავ ეფექტს და არსებობს რისკი იმისა, რომ ამ შემთხვევაში პოლიტიკოსებმა და ჟურნალისტებმა, ციხეში მოხვედრის შიშით, თავი შეიკავონ საზოგადოებრივი და პოლიტიკური მნიშვნელობის საკითხთებთან დაკავშირებით საკუთარი აზრის გამოთქმისგან.

„ეს ნიშნავს თვითცენზურას და ცუდ სამსახურს უწევს დემოკრატიას. რეალურად, ეს არის გამოხატვის თავისუფლების წინააღმდეგ მიმართული ინიციატივა. აქვე მინდა, გავიხსენო მეზობელი ქვეყნების გამოცდილება, როდესაც იგივე რუსეთში და აზერბაიჯანში სწორედ სისხლის სამართლებრივ სანქციებს იყენებენ პოლიტიკური ოპონენტების და კრიტიკულად განწყობილი ჟურნალისტების წინააღმდეგ. ეს არის ძალიან საშიში ღონისძიება, საფრთხეს შეუქმნის გამოხატვის თავისუფლებას და დემოკრატიის არსებობას. რამდენიმე წლის წინათ, რუსეთში, ცილისწამების შემთხვევაში არსებობდა სამოქალაქო სამართლებრივი პასუხისმგებლობის ღონისძიებები, თუმცა, პუტინმა და რუსეთის დუმამ რამდენიმე წლის წინათ აღადგინეს სისხლის სამართლებრივი სანქციები ცილისწამებისათვის“, — აღნიშნა გიორგი გოცირიძემ.

თედო კობახიძის ინიციატივიას, რომ სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსში ცილისწამების მუხლი აღდგეს და ცილისწამება დასჯადი გახდეს, მხარს არ უჭერენ მთავრობის წევრები. თავდაცვის მინისტრი თინა ხიდაშელი მიიჩნევს, რომ სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსში ცილისწამების მუხლი არ უნდა აღდგეს. კობახიძის ინიციატივას მხარს არ უჭერს პარლამენტის თავდაცვისა და უშიშროების კომიტეტის თავმჯდომარეც. ირაკლი სესიაშვილის განცხადებით, ცილისწამება რომ დასჯადი გახდეს, მედიის მუშაობა შეიზღუდება, რისი მომხრეც არ არის.

„ცილისწამების მუხლით დასჯადობა კოდექსიდან სწორედ მედიის თავისუფლების გამო ამოიღეს. მსოფლიოში ცილისწამება რომ დასჯადი იყოს, ეს გარკვეულ პრობლემას შეუქმნიდა სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლებას. მაშინ, როცა ეს ცვლილება განვახორციელეთ და ამოვიღეთ ეს მუხლი, პირველ რიგში, გავითვალისწინეთ მედიის თავისუფლება.

ცილისწამება სისხლის სამართლებრივად დასჯადი არ უნდა იყოს, თუმცა, უნდა არსებობდეს ქმედითი ნაბიჯები იმისთვის, რომ ნებისმიერი ადამიანი იყოს დაცული, რათა მისი იმიჯი არ შეილახოს“, — აცხადებს ირაკლი სესიაშვილი.

პარლამენტის იურიდიული კომიტეტის თავმჯდომარეს **ვახტანგ ხმალაძეს** მიაჩნია, რომ ცილისწამებისთვის სისხლის სამართლებრივი პასუხისმგებლობის დაკისრება, რომელიც წლების წინათ მოქმედება, არასწორი იყო, არ შეესაბამება თანამედროვე მიდგომებს, რის გამოც აღნიშნული მუხლი გაუქმდა. ხმალაძე მიიჩნეს, რომ ამ ნორმის აღდგენა გამართლებული არ იქნება.

„სისხლის სამართლის პასუხისმგებლობის დაკისრებას ე.წ. მსუსხავი ეფექტი ექნება. იმის შიშით, რომ ვინმემ ჩემი ნათქვამი ცილისწამებად არ მიიჩნიოს და ამის გამო თავისუფლების აღკვეთა არ მომისაჯონ, გავჩუმდები და არაფერს ვიტყვი იმ დანაშაულზე, რომელიც ნამდვილად ვიცი, რომ მოხდა, მაგრამ შეიძლება ვერ დავამტკიცო და ამიტომ, შესაძლოა, ციხეში გამიშვან, გავჩუმდები. სახიფათოა ასეთი კანონის შემოღება და ამიტომაც ითქვა უარი ყველა განვითარებულ ქვეყანაში ცილისწამებისთვის სისხლის სამართლებრივი პასუხისმგებლობის დაკისრებაზე“, — აცხადებს ვახტანგ ხმალაძე.

დეპუტატი, „თავისუფალი დემოკრატების“ წევრი **შალვა შავგულიძე** აცხადებს, რომ ასეთი საკანონმდებლო ინიციატივა მიუთითებს მისი ავტორის ტენდენციაზე, რომ ჩვენი სამართალი განვითარდეს არა ევროპული სტანდარტების მიმართულებით, არამედ, პუტინის ავტოკრატიული რეჟიმის სამართლის შესაბამისად.

როგორც შავგულიძე აცხადებს, ეს ეწინააღმდეგება გამოხატვის თავისუფლების საერთაშორისო სტანდარტებს და სწორედ ამიტომ ევროპის სამართლით აღიარებულია პრინციპი, რომ ასეთ შემთხვევაში პირს მიეცეს უფლება, სამოქალაქო წესით იდავოს, ისევე, როგორც პატივისა და ღირსების შელახვის შემთხვევაში.

„ასეთი ნორმა არსებობდა ადრე საბჭოთა პერიოდში, თუმცა, მოგვინებით ყველა განვითარებული ქვეყნის სისხლის სამართლის კოდექსიდან ამოღებული იქნა ეს მუხლი, რადგან ეწინააღმდეგება გამოხატვის თავისუფლების საერთაშორისო სტანდარტებს. ევროპის შემდეგ ანალოგიური გავაკეთეთ ჩვენც. ცილისწამებისთვის ისევე, როგორც პატივისა და ღირსების შელახვისთვის, პირს შეუძლია იდავოს სამოქალაქო წესით. ეს არ არის სისხლის სამართლის განსჯადობის თემა და საგანი. ეს ნორმა დარჩენილია მხოლოდ რუსეთის ფედერაციაში“, — აცხადებს შალვა შავგულიძე.

„საბჭოთა კავშირის დაბრუნება შეუძლებელია, კალენდარულადაც და ფაქტობრივადაც“, — აცხადებს იურისტი **ლევან ალაფიშვილი.**

„ჩვენს გვახსოვს საბჭოთა კავშირი თავისი სუსხით, რეპრესიებით და საკანონმდებლო იარაღებით. ამ ყველაფრის დაბრუნება შეუძლებელია. ასე რომ, ამ კანონმდებლობის შექმნის ნებისმიერი მცდელობა, წარუმატებელი იქნება. დემოკრატიულ სივრცეში და მით უმეტეს საქართველოში, ამ კანონის ადგილი არ არის“.

ᲗᲐᲛᲗᲐ ᲥᲐᲠᲩᲐᲕᲐ

◎ ᲓᲐᲡᲐᲑᲣᲗᲔᲑᲐ ᲛᲐᲘᲜᲪ ᲙᲐᲠᲒᲘ ᲘᲥᲜᲔᲑᲝᲓᲐ!

ᲥᲐᲠᲗᲣᲚᲘ ᲛᲮᲐᲠᲔ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡᲗᲕᲘᲡ „ᲦᲕᲘᲜᲘᲡ ᲡᲐᲛᲨᲝᲑᲚᲝᲡ“ ᲝᲤᲘᲪᲘᲐᲚᲣᲠᲘ ᲡᲢᲐᲢᲣᲡᲘᲡ ᲛᲘᲜᲘᲭᲔᲑᲐᲡ ᲐᲦᲐᲠ ᲔᲚᲝᲓᲔᲑᲐ?

ᲛᲘᲣᲮᲔᲓᲐᲕᲐᲓ ᲐᲠᲐᲔᲠᲗᲘ განცხადებისა, რომ საქართველო ღვინის სამშობლოს მეცნიერულად დადასტურებულ სტატუსს მიიღებდა და ამის დასადასტურებლად „ნასაში“ სპეციალური კვლევები მიმდინარეობდა, დღეს ღვინის ეროვნული სააგენტოს ხელმძღვანელი გიორგი სამანიშვილი განსხვავებულ განცხადებას აკეთებს. მისი თქმით, სააგენტო არ ელოდება, რომ საქართველო ოფიციალურად ღვინის სამშობლოდ გამოცხადდება. ამის შესახებ სამანიშვილმა რადიო „კომერსანტის“ პირდაპირ ეთერში, გადაცემა „საათის თემაში“ განაცხადა.

„ჩვენ არ ველოდებით, რომ საქართველო ოფიციალურად გამოცხადდეს ღვინის სამშობლოდ, ჩვენ ვთვლით, რომ საქართველო არის ღვინის სამშობლო. სამეცნიერო წრეებში ამას ადასტურებენ კიდეც“, — აღნიშნა გიორგი სამანიშვილმა.

მისი თქმით, სლოგანი „საქართველო — ღვინის აკვანი“ აქტიურად გამოიყენება არა მარტო ღვინის ეროვნული სააგენტოს მხრიდან, არამედ ქართველი მეღვინეების მხრიდანაც.

გიორგი სამანიშვილის ინფორმაციით, ეს სლოგანი ძალიან მალე ამერიკაში დარეგისტრირდება და არც ერთ ქვეყანას მისი გამოყენების შესაძლებლობა არ ექნება. ღვინის ეროვნული სააგენტოს ხელმძღვანელმა განმარტა, რომ ეს სლოგანი უკვე დაცულია ევროპის ქვეყნებში.

სამანიშვილის განცხადებისგან განსხვავებით, მისი წინამორბედი — ღვინის ეროვნული სააგენტოს ყოფილი ხელმძღვანელი ლევან დავითაშვილი აცხადებდა, რომ საქართველო სტატუსის მეცნიერულად დამტკიცებისთვის გარკვეულ ნაბიჯებს დგამდა. ამ პროცესში ამერიკის ეროვნული კოსმოსური სააგენტო „ნასაც“ კი იყო ჩართული.

მეცნიერული დასაბუთებისთვის, რომ საქართველო ღვინის სამშობლოა, ხელისუფლებამ ახალი პროექტი 2014 წლის იანვრიდან დაიწყო. პროექტის დაწყების შესახებ პირველად ღვინის ეროვნული სააგენტოს მაშინდელმა ხელმძღვანელმა ლევან დავითაშვილმა „კომერსანტის“ საახალწლო ეთერში, 2013 წლის დეკემბერში განაცხადა.

პროექტში საერთაშორისო სამეცნიერო-კვლევითი ცენტრები იყვნენ ჩართულნი. მათ შორის, „ნასას“ ლაბორატორია, პენსილვანიის უნივერსიტეტი, კოპენჰაგენის დნმ-ის კვლევის ცენტრი, მონპელიეს უნივერსიტეტი, მილანის უნივერსიტეტი და ა.შ.

მაშინ დავითაშვილმა განაცხადა, რომ პროექტი სამეცნიერო ხასიათს ატარებდა და მისი მიზანი ქართული ვაზის წარმოშობის სათავეების დადგენა და იდენტიფიცირება იყო.

„ჩვენ გვაქვს ფრაგმენტული მასალა. თუმცა, ეს წამყვანი მეცნიერების მიერ აღიარებული არ არის და ამას მუშაობა უნდა. დარწმუნებულები ვართ, რომ ღვინის ქვეყანა ჩვენ ვართ, მაგრამ ამას მეცნიერული დასაბუთება სჭირდება“, — აცხადებდა ლევან დავითაშვილი.

ამას გარდა, გასული წლის ნოემბერში საქართველოს ღვინის ეროვნული სააგენტოს მევენახეობის რეგულაციის სამმართველოს უფროსმა დავით მაღრაძემ „კომერსანტს“ განუცხადა, რომ პროექტი, რომლის მიზანიც საქართველოსთვის ღვინის სამშობლოს სტატუსის სამეცნიერო დადასტურებაა, წარმატებით მიმდინარეობდა, მისი განმარტებით, „ნასას“ ლაბორატორიაში გაგზავნილი ნიმუშების პირველი პარტიის შედეგებმა აჩვენა, რომ რამდენიმე ნიმუშიდან ერთში ეგრეთ წოდებული ღვინისმჟავის ნაშთია აღმოჩენილი. მაღრაძე აცხადებდა, რომ უკვე გაგზავნილი იყო ნიმუშების მეორე პარტია, რომელზე კვლევაც რამდენიმე თვეში დასრულდებოდა.

ოფიციალური ინფორმაცია, დასრულდა თუ არა კვლევა და რა შედეგებამდე მივიდნენ მეცნიერები, ამ დრომდე არ გავრცელებულა.

ᲯᲣᲠᲬᲐ ᲦᲕᲘᲜᲘᲐᲨᲕᲘᲚᲘ

◎ ᲘᲜᲤᲝᲠᲛᲐᲪᲘᲐ

ᲔᲙᲝᲜᲝᲛᲘᲙᲘᲡ ᲡᲐᲛᲘᲜᲘᲡᲢᲠᲝ ᲭᲝᲕᲔᲚᲘᲫᲘᲡ ᲥᲣᲩᲐᲖᲔ ᲒᲐᲜᲗᲐᲕᲡᲓᲔᲑᲐ

ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო 1 აპრილიდან თბილისში, ჭოველიძის ქუჩაზე განთავსდება. უწყების ხელმძღვანელის თქმით, სამინისტროს ახალი შენობის ფართი 7500 კვ მეტრია.

„ჭანტურიას ქუჩაზე მდებარე შენობა, 6 მილიონ დოლარად აუქციონზე გამოვიტანეთ და 9 მილიონ 500 ათას დოლარად გავყიდეთ. მინდა, ინვესტორს მადლობა გადავუხადო იმიტომ, რომ 3 თვით მეტი გაგვაჩერა ამ შენობაში. 1 იანვარს უნდა დაგვეცალა, ჩვენ ვთხოვეთ, რომ 3 თვით მეტი გავჩერებულიყავით და შესაბამისად, ჭოველიძის ქუჩაზე 1 აპრილიდან გადავალთ“, — განაცხადა ქუმსიშვილმა.

◎ ალზრდა დიდ სიფრთხილეს მოითხოვს

მთავარია, გასოვდეს, რომ სარ ადამიანი...

ახალი სასკოლო საგნის „მე და საზოგადოების“ სკოლაში შეტანის წინააღმდეგ პეტიცია გავრცელდა. პეტიციის ავტორნი მიიჩნევენ, რომ ახალი საგნით მოზარდთა სარწმუნოებრივ-ეროვნული ცნობიერების აღრევა-გადაგვარება მოხდება. ფილოლოგი გურამ ფალავანდიშვილი აცხადებს, რომ არ დაუშვებს სკოლებში ამ საგნის დანერგვას.

For.ge-სთან საუბარში **გურამ ფალავანდიშვილი** ამბობს, რომ მას შემდეგ, რაც პარლამენტმა მიიღო ანტიდისკრიმინაციული კანონი, რომლის შედეგადაც მამათმავლობა ნორმად დაფიქსირდა, მამათმავლობის კუთხით ტოლერანტობის ასამაღლებლად მგრძნობელობის გაზრდა დაიწყო ყველა სტრუქტურაში, მათ შორის, განათლების სისტემაშიც. მსგავსი ტიპის პროპაგანდა შემოდის ჯარში, პროკურატურაში და სხვაგან.

მისივე თქმით, ამ წიგნებში პირდაპირ წერია შემდეგი სიტყვები, „წარმოიდგინეთ, რომ ერთ დღეს სხვა სქესის წარმომადგენელი გახდეთ. რის შეცვლა მოგიწევდათ?! დაუკავშირდით თქვენს ქვეყანაში მოქმედ ლესბოსელთა ან ჰომოსექსუალთა საზოგადოებას, მოიწვიეთ ისინი სასაუბროდ ჯგუფში, კლასში, რათა განმარტოთ გენდერული საკითხები და ა.შ. როლური თამაშებით ყველა ბავშვი ვალდებულია, ერთხელ მაინც განასახიეროს ლგბტ-ს როლი, რათა მათდამი თანაგანცდა გაუჩნდეს. იქვე პირდაპირ წერია, რომ ტერმინი „გენდერი“ არის სქესი, რომლითაც კი არ დაიბადე, არამედ, რომელიც შეგიძლია აირჩიო და არსებობს 50 სახეობის გენდერული სქესი“.

გარდა ამისა, გურამ ფალავანდიშვილის თქმით, როდესაც შედიხართ ზოგიერთ სკოლაში (42-ე, 87-ე სკოლებში) უკვე გამოკრულია ტრანსგენდერის სიმბოლიკიანი პლაკატები და ეს ყველაფერი ხდება ევროპის ქარტიის რეკომენდაციით. ამდენად, გამოდის, რომ ბავშვებს უნდა ვუთხრათ, თურმე ხუთკუნჭულა გოგო ყოფილა, ხოლო წითელქუდა — ბიჭი.

„ეს ტენდენცია დაწყებულია. როგორ გგონიათ, მოძრაობის წესების ან ნაგვის გადაყრის გამოა გამწარებული ლგბტ ლობი ან „ნაციონალური მოძრაობა“? ნოდია და სხვები რის გამო იკლავენ თავს, როცა გამწარებულნი იცავენ ამ საგნის სკოლებში დანერგვას? თუკი ეს პლაკატები გააკრეს პუტინისტებმა და შემთხვევითმა ადამიანებმა, მაშინ ჰკითხეთ ბატონ ივანე კილურაძეს, მიაჩნია თუ არა, რომ მამათმავლობა, ჰომოსექსუალობა გარყვნილებაა ბავშვთა ცნობიერებისთვის?! შენ თუ ლესბოსელებს შეაცვედრებ სკოლის მოსწავლეებს, ხომ შეიძლება ნორმალურმა ბავშვმა ეს ნორმად მიიღოს და მისი ნორმალური ქცევაც შეიცვალოს? თუ ხელისუფლება ამას არ შეისმენს, ხალხი გამოვა ქუჩაში და დემონსტრაციები გაიმართება. აგერ, შტუტგარტში გუშინ ათასობით კაცი გამოვიდა, მათ გააროტესტეს სკოლებში ამ საგნის შეტანა, მეორე მხარეს კი იდგა ლგბტ თემი, თავისი ტრანსპარანტებით, მხარეებს შორის შეტაკებაც მოხდა. ეს არის მსოფლიო ბრძოლა“, — აღნიშნა გურამ ფალავანდიშვილმა.

მანვე გაიხსენა განათლების მინისტრთან ადრინდელი შეხვედრა, როცა **თამარ სანიკიძემ** მათ უთხრა, ამ პეტიციას მეც ხელს მოვაწერდიო. თუმცა ამის შემდეგ ქალბატონ მინისტრს, ალბათ, „დაეტაკა“ ლგბტ ლობი, ისიც გამოვიდა და თქვა, ვიხუმრეო.

გურამ ფალავანდიშვილის პოზიციას ემიჯნება საპარლამენტო უმრავლესობის დეპუტატი **ნუკრი ქანთარია.** იგი აცხადებს, რომ ვერსად აღმოაჩინა, რომ ბავშვებს თურმე ინფორმაცია ისეთნაირად უნდა მიაწოდონ, რომ ხუთკუნჭულა და ნაცარქიქია კაციც ეგონოთ და ქალიც, რომ მეფის ასული თურმე ცხრა მთას იქიდან ელოდება სხვა მეფის ასულს, რომელიც „მოვიდა და ერთად ბედნიერად ცხოვრობენ“.

პარლამენტის განათლების, მეცნიერებისა და კულტურის კომიტეტის თავმჯდომარე ივანე კილურაძე For.ge-სთან საუბარში აცხადებს, რომ საგანი „მე და საზოგადოება“ სიღრმისეულ განხილვას მოითხოვს, რადგან ყოველი ახალი საგნის შემოღებას წინასწარი მუშაობა, უზარმაზარი ძალისხმევა, პედაგოგთა სპეციალური მომზადება სჭირდება. რაც მთავარია, სტანდარტები კიდევ უნდა გადაისინჯოს და დაიხვეწოს, შეჯერდეს სპეციალისტებთან, რასაც დიდი დრო დასჭირდება.

„ცალსახად დავადასტურე ჩემი პოზიცია კომიტეტის სხდომაზე, რომ არ ვარ ამ საგნის შემოღების მომხრე, მაგრამ ის არგუმენტი, რასაც ბატონი გურამ ფალავანდიშვილი აყენებს, ჩემთვის მიუღებელია. ჩემი არგუმენტები სულ სხვაა. კერძოდ, პედაგოგს არ უნდა ავკიდოთ უზარმაზარი ტვირთი, რომელსაც იგი ვერ ასწევს. ამასთანავე, არ შეიძლება ბავშვი დაიტვირთოს ისე, რომ მისგან საბოლოოდ რობოტი ჩამოყალიბდეს. არ უნდა შევიჭრათ ისეთ სფეროში, რომლის ფორმალიზებაც შეუძლებელია, არ უნდა შევიჭრათ შვილისა და დედის ურთიერთობაში, ოჯახისა და პატარას ურთიერთობაში“, — აღნიშნა ივანე კილურაძემ.

პარლამენტის განათლების, მეცნიერებისა და კულტურის კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილე, საპარლამენტო უმცირესობის წევრი **სერგო რატიანი** For.ge-სთან საუბარში აცხადებს, რომ სასაცილო რამეები ხდება პარლამენტში, მათ შორის, ასეთია, სახელმძღვანელოების განხილვა უმაღლეს საკანონმდებლო ორგანოში.

„სრულ მარაზმში ვართ, ეს სრული დეგრადაციაა. ვიღაც ამით სპეკულირებს, ხოლო „ქართული ოცნება“ საერთოდ არეულია ღირებულებებში, ერთმანეთში ვერაფერი გაურკვევიათ, ერთნი სხვა ღირებულებისანი არიან, მეორენი — სხვა ღირებულების. ამ ადამიანებს გადაწყვეტილების მიღება უჭირთ, სწორედ ამიტომაა, რომ დიდი ხნის განმავლობაში გადაწყვეტილება ვერ მიიღეს, მესამე-მეოთხე კლასში როგორი სახელმძღვანელოებით ასწავლონ. საგანს „მე და საზოგადოება“ სრულიად უცნაური კითხვები მოჰყვა, მაგალითად, როგორ უნდა ვასწავლოთ სამშობლო?! როგორ და, ეს ისწავლება ლიტერატურაში ვაჟა-ფშაველასთან, ილია ჭავჭავაძესთან, აკაკი წერეთელთან, ყველგან ეს თემაა. ამაზე რეფლექსია უნდა ჰქონდეთ ბავშვებს, რომ რასაც სწავლობენ წიგნებში, თანამედროვე ცხოვრებაში როგორ განახორციელონ. ასევე, ისტორიაში როცა სწავლობენ დიდგორის, კრწანისის ომებს, უნდა იცოდნენ, თანამედროვე საზოგადოებაში რას ნიშნავს სამშობლოს დაცვა. ეს არის რეფლექსია. რას ნიშნავს მოზარდთა სარწმუნოებრივ-ეროვნული ცნობიერების აღრევა-გადაგვარება? რას ნიშნავს კულტურული მრავალფერონება? რას ნიშნავს და წაიკითხონ ვაჟა-ფშაველა, იქ გაიგებენ, კულტურული მრავალფეროვნება რასაც ნიშნავს. რას ნიშნავს ის ფაქტი, თუ როგორ ხვდებიან ერთმანეთს ზვიადაური და ჯოყოლა? ეს ვინმესთვის აღმოჩენაა? „ვეფხისტყაოსანი“ რომ გაქვს და ამის შემდეგ კიდევ კითხულობ, რას ნიშნავს კულტურული მრავალფეროვნებაო, ეს უკვე უგუნურებაა. საერთოდ არაფერ შუაში არ არის როლური თამაშები. პედაგოგი არ არის მხოლოდ საგნის სპეციალისტი, სკოლა არ არის მხოლოდ მათემატიკისა და ფიზიკის სწავლება, არამედ სკოლა ასწავლის თანამედროვე საზოგადოებაში ორიენტაციას“, — აღნიშნა სერგო რატიანმა.

„ვეფხისტყაოსანი“ რომ გაქვს და კითხულობ, რას ნიშნავს კულტურული მრავალფეროვნებაო, ეს უკვე უგუნურებაა“...

მანანა ნოზაძე

◎ კრედიტის ფასი

ღირს კი ეს ფული ამდენი?

ლარის ბოლოდროინდელი გაუფასურების პროცესში, ეროვნულმა ვალუტამ „ფინანსური უფსკრულის“ ისტორიულ ზღვარს მიაღწია. ამჟამინდელი დევალვაციის მიზეზს ხელისუფლება სამხრეთ კავკასიაში, ასევე ახლო სამეზობლოში, კერძოდ, უკრაინაში მიმდინარე სამოქალაქო დაპირისპირებით, ერთიანად რეგიონში მიმდინარე პოლიტიკურ-ეკონომიკური პროცესებით ამართლებს. ლარის კურსის ვარდნას დიდწილად საგარეო ფაქტორი რომ განაპირობებს, ეჭვს არ იწვევს, თუმცა საქმე მარტო ამაში არ გახლავთ.

ექსპერტების დიდი ნაწილის აზრით, მსოფლიო ამჟამად გლობალური ეკონომიკური კრიზისის მესამე ტალღის აგორების საფრთხის წინაშე დგას, ამდენად, დოლარის მიმართ ლარის დაბალი კურსი, სუსტი ეკონომიკის პირობებში, დიდადაა დამოკიდებული საგარეო რყევებზე. ამასთან, უდავოდ ანგარიშგასაწევია მნიშვნელოვანი შიდა ფაქტორებიც, მათ შორის წინა წლებში ეროვნული ბანკის მიერ გატარებული მონეტარული და საკრედიტო პოლიტიკა, ინვესტიციებისა და უცხოეთიდან კერძო ფულადი ნაკადების, ასევე საგარეო ვაჭრობის, უწინარესად ექსპორტის შემცირება.

აუცილებლად უნდა ითქვას, რომ ლარის კურსის ვარდნაზე, ზემონახსენებ მიზეზებთან ერთად, მნიშვნელოვნად მოქმედება აგრეთვე საგარეო ვალების გასტუმრება და მათი მომსახურება, რასაც ყოველთვის, ქვეყნიდან დიდი ოდენობით ვალუტის გადინება მოსდევს. ეს კი, თავის მხრივ, შიდა ბაზარზე მის დეფიციტს განაპირობებს. ამასთან, როცა კი ლაპარაკი საგარეო ვალებზე მიდგება, ბევრნი აქცენტს მთავრობის უცხოურ დავალიანებებზე ამახვილებენ, თუმცა კი რეალობა ისეთია, რომ ამ მხრივ კერძო სექტორის, მათ შორის კომბანკების დავალიანება ეროვნული ეკონომიკის განვითარებისთვის უფრო დიდ საფრთხეს შეიცავს. უცხოური კრედიტების ძირის გასასტუმრებლად, ასევე პროცენტების მოსამსახურებლად, ისინი შიდა ბაზარზე დიდი ოდენობით კონვერტირებად ვალუტას ყიდულობენ, რაც მის დეფიციტს და, შესაბამისად, მაღალ გაცვლით კურსს განაპირობებს.

ეროვნული ბანკის ოფიციალური მონაცემებით, კომბანკების ვალი საერთაშორისო საფინანსო ორგანიზაციებს 2 მილიარდი 787 მილიონი დოლარი, ანუ 6 მილიარდ 91 მილიონი ლარი მართებთ. ამ თანხიდან მოკლევადიანი საკრედიტო ხაზების წილია მილიარდ 218 მილიონი დოლარი (3 მილიარდ ლარზე მეტი), გრძელვადიანი სესხები კი მილიარდ 569 მილიონ დოლარს (3 მილიარდ 900 მილიონ ლარს) შეადგენს.

რუსეთის მიერ საქართველოს მიმართ 2008 წელს განხორციელებული აგრესიის შემდეგ, ქვეყნის კომბანკები მეტად მძიმე მდგომარეობაში აღმოჩნდნენ, ამიტომაც მთავრობის გადაწყვეტილებით მათ მთელი რიგი შეღავათი დაუწესდათ. იმ დროს საერთაშორისო დონორებმა საქართველოს დაახლოებით 4 მილიარდი დოლარი გრძელვადიანი სესხი გამოუყვეს, რა სახსრებიდან მილიარდი დოლარი დახმარების სახით კომბანკებს გადაეცათ, თან სხვა ბიზნესებში მონაწილეობის ნებაც დართეს. ცნობილი ეკონომისტის **თემურ ბასილიას** განცხადებით, **იმის მაგივრად, რომ კომბანკებს რესტრუქტურიზაციის პროცესი დაეწყოთ, მათ თავიანთი აქტივების არაპროფილურ დარგებში განთავსება დაიწყეს, რამაც მწარმოებელთა უკმაყოფილებაც გამოიწვია და ბაზარზე სამართლიანი კონკრეტული გარემოც მნიშვნელოვნად დააზიანა. თანაც სახსრების არარაციონალურმა გამოყენებამ ბანკებს ლიკვიდობასთან დაკავშირებით საგრძნობი პრობლემები წარმოშვა.**

კომბანკებს წელს მთლიანად თითქმის 2 მილიარდი დოლარი აქვთ გადასახდელი, რაც იმის თვალნათელი მაგალითია, თუ როგორ უარყოფით ზეგავლენას ახდენს არასრულფასოვანი საბანკო მენეჯმენტი ბიზნესზე, აცხადებს ბატონი ბასილაია.

მისი ანგარიშით, შარშან კომბანკებმა, მოკლევადიან სესხებად, მთლიანად დაახლოებით მილიარდი დოლარი გასცეს, რაც იმდროინდელ საშუალო კურსზე გათვლით, 1,7 მილიარდ ლარზე მეტია. ეროვნული ვალუტის კურსის მატებამ კი ეს 1,7 მილიარდი ლარი თანდათან გაზარდა და ბოლოს დაახლოებით 2,4-მილიარდიან ნიშნულზე მიიყვანა. ეს კი იმას ნიშნავს, რომ **ახლა იგივე ოდენობის კრედიტების მომსახურებას 700 მილიონ ლარზე მეტი სჭირდება და ეს თანხა ბრუნვიდან უნდა ამოიღონ, რაც ჩვენი ისედაც სუსტი ეკონომიკის წინსვლისთვის უაღრესად ძლიერი მუხრუჭი იქნება.**

ასევე ეროვნული ბანკის მონაცემებით, საქართველოს კომერციული ბანკების მიერ უცხოეთიდან საკრედიტო ხაზების შემოტანის საკითხის ანალიზისას ბატონი ბასილაია აღნიშნავს, რომ წინა წლებში მათ მიერ ქვეყანაში მოზიდული 2,7 მილიარდი დოლარის რესურსი უახლოეს 3 წელიწადშია გასასტუმრებელი, რასაც უკვე 4,4 მილიარდი სჭირდება, ანუ 1,7 მილიარდი დოლარით მეტი. ეს უზარმაზარ საპროცენტო განაკვეთს ნიშნავს და კორუფციული გარიგებების ეჭვს ბადებს. იგი ასევე ხაზს უსვამს იმასაც, რომ **აღნიშნული 2,7 მილიარდი დოლარის ოდენობის სესხების აღებისას, დოლარის კურსი 1,7 ლარი იყო, მაშასადამე, ლარებით ქვეყანაში 4,59 მილიარდის ფულადი რესურსი შემოიტანეს, ხოლო წლეულს და მომდევნო წლებში გადასახდელი 4,4 მილიარდი დოლარი, ეროვნული ვალუტის ამჟამინდელი დასუსტების პირობებში, დაახლოებით 11 მილიარდი ლარი იქნება!** ამდენად, შემოტანილი 4,6 და გასატანი 11 მილიარდი ლარის ელემენტარული შედარებით დგინდება, რომ ამ კრედიტის მომსახურება 50 პროცენტზე მეტია.

კომენტარები, მართლაც, რომ ზედმეტია.

იმ პირობებში, როცა სამამულო კომბანკების მთავარი აქციონერები ძლიერი საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტში არიან, ქვეყნის მთავრობა ვალდებულებასთან ერთად იძულებულიცაა გაითვალისწინოს მათი ინტერესები, მეტიც — შეუნარჩუნოს კიდეც წლების წინათ შექმნილი მონოპოლიური „სასათბურე“ მდგომარეობა, აღნიშნავს ბატონი ბასილია და დასძენს, რომ ეს გარემოება არც სამამულო ეკონომიკის განვითარებას უწყობს ხელს, არც მოსახლეობის ინტერესებს შეესაბამება. ამის მოსასწორებლად მთავრობას და ეროვნულ ბანკს ქმედითი ნაბიჯები აქვთ გადასადგმელი.

ოთარ ტურაბელიძე

ARსებობს ცნობა, რომ ფარიბურზ შირვან-შაჰი ისპაჰანში ჩასულა მალიქ-შაჰთან თავისი მორჩილების დასადასტურებლად.

ამდენად, როგორც ვნახეთ, XI საუკუნის 70-80-იან წლებში თურქ-სელჩუკები ერთნაირად მძიმე მდგომარეობაში ამყოფებენ შირვანს, სომხეთსა და საქართველოს. ამიტომ დაპყრობილი ქვეყნები იძულებული ხდებიან, დასთანმხდნენ ხარკის გადახდასა და სულთნის მორჩილებას, რისი საბოლოო მიზანი ერის არსებობის გადარჩენა იყო.

სწორედ ამიტომ, გიორგი II დიდებულთა თანხმობის შემდეგ ეახლა ისპაჰანში სულთან მალიქ-შაჰს.

დავით აღმაშენებლის ისტორიკოსი კმაყოფილებით აღნიშნავს, რომ გიორგი II „შეწყნარებულ იქნა მისგან (სულთნისაგან – რ. მ.), ვითარცა შვილი საყუარელი“ („ქართლის ცხოვრება“). ბუნებრივია, თვით მალიქ-შაჰისათვის საქართველოს მეფის ასეთი მორჩილებით ხლებას დიდი მნიშვნელობა ჰქონდა, გიორგი II-ის მისიით კმაყოფილმა მალიქ-შაჰმა „ყოველი სათხოველი აღუსრულა მეფესა“ საქართველოს სამეფო გაათავისუფლა „ზედამარბეველთაგან“ და კახეთი და ჰერეთი „მოსცა“. გიორგი მეფემ დიდი ხარკი იკისრა სულთნის სასარგებლოდ („რომელსა იღებდეს ჟამთა მრავალთა“). რადგან ჰერეთ-კახეთზე სულთნისა და საქართველოს მეფის უფლებები არ ვრცელდებოდა, მალიქ-შაჰმა გიორგი II-ს ჰერეთ-კახეთის შემოსაერთებლად ლაშქარი გამოაყოლა. აღნიშნულ ფაქტს დიდი შთაბეჭდილება მოუხდენია იმდროინდელი ქართული მოსახლეობის ერთ ნაწილზე.

ამას თან მოჰყვა ბრძოლა ვეჯინის ციხის აღებისათვის. ვეჯინის ალყა შემოდგომიდან დაზამთრებამდე გაგრძელდა. თოვლმა, ბუნებრივია, მძიმე პირობები შეუქმნა ციხეში მყოფთ. მაგრამ, ალბათ, რაიმე მოსაზრებით, გიორგი II-მ ალყა მოხსნა, ხოლო ლაშქარს სუჯეთში, იორისპირსა და კახეთში მისცა გამოზამთრების საშუალება.


ვეჯინის ციხე

რაც შეეხება ვეჯინის ალყის ასე სწრაფად მოხსნას, იგი, ალბათ, გამოწვეული უნდა იყოს დასავლეთ საქართველოში მდგომარეობის გამწვავებით. გიორგი II-მ შესაძლებლად ჩათვალა კახეთის საკითხის გადადება, რადგან ეს პრობლემა პრინციპულად უკვე მოგვარებული იყო (სულთნის თანხმობა და მაშველი ლაშქარი ამის თქმის უფლებას იძლევა).

აქვე უნდა აღინიშნოს ისიც, რომ კახეთის საკითხის მიმართ საქართველოს სამეფო კარის ყურადღების ერთგვარად შენელებამ კახთა მეფე აღსართანს აქტიური მოქმედების საშუალება მისცა. ეს უკანასკნელი თვითონ ეახლა მალიქ-შაჰს, უარყო ქრისტიანობა, „შეეძინა სარკინოზთა სჯულსა, და ამით ღონითა აიღო სულტანისაგან კახეთი“. სულთან მალიქ-შაჰს, ბუნებრივია, არც გიორგი II ეხატა გულზე და არც აღსართანი. ამიტომ იყო, რომ ერთხელ უკვე მიცემული კახეთი (გიორგი II-სათვის), მან ხელახლა „გაასაჩუქრა“. ასე რომ მალიქ-შაჰის „შემწეობით“ კახეთი კვლავ საქართველოს სამეფოს გარეთ დარჩა. არ შეიძლებოდა ამ გარემოებას (კიდევ მრავალ სხვა მიზეზთან ერთად) მოსახლეობის გულისწყრომა არ გამოეწვია. „ამათ ესევითარცა ჟამთა არავე დამშჳდნა ქუეყანა, არცრა იქმნა ლხინება კაცთა... დღეთა ჩუენთა მოიწია ჭირი“.

ქვეყნის ისედაც გართულებულ მდგომარეობას თან დაერთო სტიქიური უბედურებანი. დავით აღმაშენებლის ისტორიკოსის მინიშნებით, ამ დროს ისეთი დიდი მიწისძვრა ყოფილა, რომ „შეძრა ქვეყანა საფუძვლითურთ, ესოდენ სასტიკად, ვიდრემდის მთანი მაღალნი და კლდენი მყარნი სახედ მტუერისა დაიგალნეს, ქალაქნი და სოფელნი დაირღუეს, ეკლესიანი დაეცნეს“. მიწისძვრები საქართველოში ერთი წლის მანძილზე გაგრძელებულა და მრავალი ადამიანი უმსხვერპლია. ყოველივე ამან კი ისეთი აზრი შექმნა საქართველოს მოსახლეობაში, რომ თითქოს სამეფო კარი და თვით საქართველოს მეფე გიორგი II ცოდვილნი იყვნენ და ღმერთმაც ეს უბედურებანი ამისათვის მოუვლინა („ბუნებით მოწყალე და სახიერი ღმერთი ესოდენ განარისხეს, ვიდრემდის თჳთ მოიხადეს განჩინება რისხვისა“).

XI საუკუნის 70-80-იანი წლები უაღრესად მძიმე პერიოდია ამიერკავკასიის ხალხების ცხოვრებაში. თურქ-სელჩუკების შემოსევებმა მძიმე განსაცდელში ჩააგდო სომხეთის, აზერბაიჯანისა და საქართველოს მოსახლეობა; ეს უკანასკნელნი იძულებულნი გახდნენ, დიდი ხარკის გადახდის საფასურად თავიანთი ეროვნულობა შეენარჩუნებინათ. ასე რომ, საქართველო და მისი მეფე გამონაკლისი არ ყოფილან. ასევე ართულებდა საქმეს ის გარემოება, რომ სამეფო ხელისუფლებას ბრძოლა უხდებოდა თავგასული ფეოდალების ე. წ. ცენტრიდანული, ქვეყნისა და მეფის საწინააღმდეგო მოქმედების ასალაგმავად.

იმდროინდელი საქართველო, ისევე როგორც კავკასიის სხვა ქვეყნები, განიცდიდნენ მწვავე კრიზისს, რომლიდან გამოსვლასაც გარკვეული პირობები და დრო სჭირდებოდა, და რაგინდ დიდი მოღვაწე უნდა ყოფილიყო საქართველოს მეფე (ამ შემთხვევაში გიორგი II), იგი ამას ვერ შეძლებდა.

აუცილებელია აღვნიშნოთ, რომ გიორგი II-ის მოღვაწეობის ადრეული შეფასება (სადაც აქცენტირებულია მისი სისუსტე) სერიოზულად არის გადახედული ქართველი და უცხოელი ისტორიკოსების კვლევებში. საქართველოს მეფის, გიორგი II-ის, როგორც პიროვნებისა და მეფის, მოღვაწეობა განხილულ უნდა იქნას ეპოქის და იმ პირობების გათვალისწინებით, რომელშიც მას მოუხდა სახელმწიფოს მეთაურის მძიმე უღლის ტარება.

XI საუკუნის 70-80-იანი წლების საქართველოში შეიქმნა აბსოლუტური ობიექტური პირობები ქვეყნის პოლიტიკური და ეკონომიკური დაქვეითებისა, რაც განპირობებული იყო, ერთი მხრივ, მძიმე და დამანგრეველი შემოსევებით, ხოლო, მეორე მხრივ, გამწვავებული შინაპოლიტიკური ბრძოლით.

როგოც ვხედავთ, XI საუკუნის მიწურულს საქართველოს საშინაო მდგომარეობა უკიდურესობამდე გაუარესდა. საერთო-სახალხო და სახელმწიფოებრივმა საფრთხემ დამპყრობელთა წინააღმდეგ ბრძოლის საკითხი მოამწიფა.

გაგრძელება. დასაწყისი იხ. № 36

სიმხნევე, სიქველე და სული საუფლო

დავით აღმაშენებელი

მძიმე საშინაო და საგარეო მდგომარეობისა და მწვავე სახელმწიფოებრივი კრიზისის პირობებში საქართველოს სამეფო კარზე მოხდა გადატრიალება – ჯერ კიდევ ახალგაზრდა გიორგი II გადააყენეს და მისი ადგილი დავით გიორგის ძემ, დავით IV აღმაშენებელმა დაიკავა.

დავით აღმაშენებლის მემატიანე ამ მოვლენას ხატოვნად აღწერს: „..ბნელსა უკუნსა შინა იწყო აღმოცისკრებად მზემან ყოველთა მეფოგბათამან, დიდმან სახელითა და უდიდესმან საქმითა, სახელმოდგამმან ადგილების დასათვალიერებლად და მხოლოდ შემდეგ გადმოდიოდა.

დავით IV აღმაშენებელმა შემოიკრიბა თავისი ერთგულები, რათა მათი მხარდაჭერით წარმატებით წარემართა ქვეყნის საქმეები. საქართველოს სამეფო კარი თავს უყრიდა ერთგულ მხედართა რაზმებს. სწორედ ერთგული მოლაშქრეებით ესხმოდა თავს თურქ-სელჩუკებს, ამარცხებდა მათ, და ამით მტრის შიშით მთაში გახიზნულ ქართველ მიწის მუშას ბარად ჩამოსვლის პირობებს უქმნიდა. დავით აღმაშენებელმა თურქ-სელჩუკები ქართლიდან თანდათან აყარა. ეს წვრილი გამარჯვებები ქართველ ხალხში საკუთარი ძალის რწმენას აღვივებდა. ქვეყანა თანდათან დაუბრუნდა სოფლის მეურნეობის ინტენსიურ წარმოებას. ქალაქები აღორძინების გზას დაადგა.

თურქ-სელჩუკთა ძლიერება სულ უფრო და უფრო შესუსტდა სულთან მალიქ-შაჰის სიკვდილის შემდეგ (1092 წ.).

როინ მეტრეველი

შვიდ სამეფოდ განწესებული

„რუსთაველის ეპოქის საქართველოს ისტორია“

დავით, ღმრთისა მამისამან, და თჳთ სამეოცდამეთვრამეტემან შვილმან ამის დავითისმან, დავით“ (ცხოვრება მეფეთ-მეფისა დავითისი, „ქართლის ცხოვრება“, თბ., 2008, გვ. 307).

მძიმე მემკვიდრეობა დახვდა თექვსმეტი წლის დავითს: თურქ-სელჩუკებისაგან განადგურებული ქვეყანა, მთებში გახიზნული, დამშეული მოსახლეობა, დაცარიელებული ციხე-ქალაქები და სოფლები.

ღონისძიებები სამეფო ხელისუფლების გაძლიერებისა და ქვეყნის ცენტრალიზაციისათვის

თურქ-სელჩუკების შემოსევამ არსებითად შეცვალა პოლიტიკური ვითარება კავკასიასა და მახლობელ აღმოსავლეთში. დამარცხებულმა ბიზანტიის იმპერიამ პოლიტიკური სარბიელი თურქ-სელჩუკებს დაუთმო და ამ უკანასკნელთა გავლენის ფრთები მრისხანედ გადაეფარა ამიერკავკასიის ქვეყნებს: სომხეთს, ალბანეთს, აღმოსავლეთ და სამხრეთ საქართველოს.

მომთაბარე სელჩუკები სრულიად განსხვავდებოდნენ არაბებისა და ბიზანტიელებისაგან. ისინი დაპყრობილ ტერიტორიაზე სახლდებოდნენ და მეურნეობისათვის საჭირო მიწებს იკავებდნენ. სელჩუკების მეჯოგურ-მომთაბარეული მეურნეობა შეუთავსებელი იყო ქართულ ფეოდალურ მეურნეობასთან. პრიმიტიული მეურნეობა მკვიდრდებოდა მტკვრის, ალაზნის, ივრისა და არეზის სანაპირო ჭალებზე. მაღალგანვითარებული კულტურები (ბაღ-ვენახები, პურეული და სხვ.) ადგილს უთმობდა საძოვრებს. თურქ-სელჩუკთა დაპყრობები გაცილებით უფრო დამანგრეველი და დამღუპველი იყო, ვიდრე არაბთა ან ბიზანტიელთა შემოსევები და ბატონობა. **„თურქობა“ საქართველოს ფეოდალურ მეურნეობას საფუძველს – მიწას – აცლიდა და მას გადაშენების საფრთხეს უქმნიდა. ასე შეფერხდა საქართველოსა და, საერთოდ, კავკასიის გაერთიანება-ცენტრალიზაციის პროგრესული საქმე.**

საქართველოს სამეფო იმდენად დაკნინებული იყო, რომ მისი მეფის უფლებები მხოლოდ დასავლეთ საქართველოზე ვრცელდებოდა, „საზღვარი სამეფოსა მთა მცირე ლიხთა, და სადგომი სამეფო წაღულისთავი“. როცა მეფეს ქართლის ჭალაში ან ნაჭარმაგევს ნადირობა სურდა, წინასწარ აგზავნიდა კაცებს ეს, თავის მხრივ, საქართველოს პოლიტიკური ძლიერების წისქვილზე უშვებდა წყალს. გარეშე მტრის დასუსტებასთან ერთად აღარც შინაური ურჩი ფეოდალები წარმოადგენდნენ დიდ საფრთხეს.

ბრძოლა დიდგვაროვან მოწინააღმდეგეებთან და ქვეყნის შემომტკიცება

დავით აღმაშენებელმა XI საუკუნის ბოლოს მკაცრი ბრძოლა გამოუცხადა დიდგვაროვან ფეოდალებს. დავით აღმაშენებლის ისტორიკოსი მალიქ-შაჰის სიკვდილსა და ლიპარიტის განდგომას ერთმანეთთან აკავშირებს. მალიქ-შაჰი 1092 გარდაიცვალა (გამეფდა 1072 წელს). ლიპარიტის ეს განდგომა 1092 წლის შემდგომ, კერძოდ, 1093 წელს უნდა მომხდარიყო.

ბაღვაშები მსხვილი ფეოდალები იყვნენ IX-XII საუკუნეების საქართველოში. მათი სამფლობელო იყო არგვეთი (ზემო იმერეთში). IX საუკუნის სამოცდაათიან-ოთხმოციან წლებში ამ გვარის წარმომადგენელი ლიპარიტ ბაღვაში (ლიპარიტ I) ეყმო (ვასალობაში შევიდა) დავით I ქართველთა კურაპალატს (876-881 წწ.), მიიღო მისგან მიწა-წყალი თრიალეთში და შექმნა ძლიერი კლდეკარის საერისთავო. კლდეკარის საერისთავო მოიცავდა ატენის ციხეს, თრიალეთს, მანგლისხევს და სკორეთს. კლდე-კარის საერისთავოს აღმოსავლეთით (ალგეთისა და სკორეთის ხეობებში) ესაზღვრებოდა თბილისის საამირო, სამხრეთ-აღმოსავლეთითა და სამხრეთით – სამშვილდისა და ზორაკერტის რეგიონები, სამხრეთ-დასავლეთით – ჯავახეთი, დასავლეთით – სამცხე, ხოლო ჩრდილოეთით – ქართლის საერისთავო, რომელსაც კლდეკარის საერისთავოსაგან თრიალეთის ქედი ყოფდა. კლდეკარის მფლობელის ხელში იყო ჯავახეთიდან თრიალეთზე გავლით ქართლში გადასასვლელი ერთადერთი გზა.

კლდეკარის საერისთავო საქართველოს ცალკეულ სამეფო-სამთავროთა შორის პოლიტიკური ბრძოლის ნიადაგზე ჩამოყალიბდა და შექმნის უმალ აქტიურად ჩაება ამ ბრძოლაში [როგორც ჩანს, აფხაზთა (დასავლეთი საქართველოს) გაძლიერებული სამეფოს მესვეურებმა აიძულეს კლდეკარის ერისთავთა წინაპარი, დაეტოვებინა მამულობითი სამფლობელო – არგვეთი]. კლდეკარის საერისთავო დიდ როლს ასრულებ-

გასაქართველოებული წინაპარი – 850

და საშინაო და საგარეო პოლიტიკურ ცხოვრებაში. კლდეკარის ერისთავები ითვალისწინებდნენ საქართველოს სამეფოს ურთიერთობას ბიზანტიასა და თურქ-სელჩუკთა სახელმწიფოსთან და შესაბამისად წარმართავდნენ თავიანთ პოლიტიკას. საერისთავოს არსებობის მთელ მანძილზე ისინი ცენტრალური სამეფო ხელისუფლების მოწინააღმდეგენი ჩანან (მცირე გამონაკლისის გარდა); კლდეკარის ერისთავების ურჩობამ თავი იჩინა ჯერ კიდევ გაერთიანებული საქართველოს პირველი მეფის – ბაგრატ III-ის დროს. ამ უკანასკნელის პოლიტიკის წინააღმდეგ გამოდიოდა რატი I ბაღვაში, რომელსაც ზურგს უმაგრებდნენ ქართლის დიდი აზნაურები. მეფემ ჯერ აზნაურები დაიმორჩილა, შემდეგ – რატი I ბაღვაში, აიღო თრიალეთი, კლდეკარის ციხითურთ და კლდეკარის ერისთავად რატი I ბაღვაშის ძე ლიპარიტი დასვა. კლდეკარის საერისთავო განსაკუთრებით მომძლავრდა XI საუკუნის 30-იან წლებში, როცა კლდეკარის ერისთავი ლიპარიტ ლიპარიტის ძე (ლიპარიტ IV), ბაგრატ IV-ის მცირეწლოვნების გამო, ქვეყნის ფაქტობრივი გამგებელი გახდა. იგი ცენტრალურ ხელისუფლებას ებრძოდა და თავისი მიზნების მისაღწევად არც გარეშე ძალის დახმარებას თაკილობდა. ბაგრატ IV-ის წინააღმდეგ (რომელმაც ორჯერ ჩაშალა ლიპარიტ IV-ის მიერ ორგანიზებული ლაშქრობა თბილისის საამიროს შემოსაერთებლად) ლიპარიტმა ბიზანტიელები მოიშველია. კეისარი კი თავისი გეგმის განხორციელებას შეუდგა და კლდეკარის საერისთავო საქართველოს წინააღმდეგ ბრძოლის პლაცდარმად აქცია. 1058 წელს მესხმა დიდებულებმა შეიპყრეს კლდეკარის ერისთავი და მეფეს მიჰგვარეს. ბაგრატ IV-მ ლიპარიტ IV ბაღვაში იძულებით ბერად შეაყენა და ამდენად ბიზანტიასაც გამოაცალა დასაყრდენი.

XI საუკუნის 80-იან წლებში კლდეკარის საერისთავო თურქ-სელჩუკების მხარეზე აღმოჩნდა. კლდეკარის ერისთავი ივანე ლიპარიტის ძე 1074 წელს გიორგი II-ს განუდგა. მან კახელები დაიხმარა და ქსნისპირა ადგილები დაიკავა, ქ. გაგი გამოსტყუა მეფის მეციხოვნეებს და საქართველოს მტერს – განძის ამირას ფადლონს – მიჰყიდა, თვითონ კი საქართველოს ასაოხრებლად მოსულ„დიდ სელჩუკთა“ სახელმწიფოს სულთანს – მალიქ-შაჰს ეახლა მორჩილებით (ეს ნაბიჯი შემდგომში კლდეკარის ერისთავის მარცხით დამთავრდა). სწორედ ამ ივანე ლიპარიტის ძე ბაღვაშის შვილია ლიპარიტ V, რომელიც დავით აღმაშენებელს განუდგა.

დავით აღმაშენებლის ისტორიკოსი გადმოგვცემს, რომ ლიპარიტი, რომელსაც ეპყრა თრიალეთი, კლდეკარი და „მიმდგომი მისი ქუეყანა“, ერთხანს ერთგულობდა დავითს. როგორც ჩანს, იმდენად დიდი იყო მომხდური მტრის განდევნის სურვილი, რომ დიდგვაროვანი ფეოდალები ახალგაზრდა მეფეს ამოსდგომიან მხარში. ლიპარიტ ბაღვაშთან ერთად ჩვენ ვხედავთ ნიანია კახაბერისძესა და სხვა აზნაურებს, რომლებიც თანდათან შემოიკრიბნენ საქართველოს სამეფო კარის გარშემო. მაგრამ, როგორც ჩანს, ეს მშვიდობიანობა და შეთანხმებული საქმიანობა დიდხანს არ გაგრძელებულა. ლიპარიტის განდგომა მისი მამა-პაპის კვალზე დადგომას ნიშნავდა („იწყო მათვე მამულ-პაპურთა კუალთა სვლა“), ბაღვაშებსა და საქართველოს მეფეთა შორის საუკუნოვანი ბრძოლის გაგრძელებას მოასწავებდა. მეფემ თავგასული ქვეშევრდომი „ინება გაწურთა“ და შეიპყრო იგი. ლიპარიტს მოუნანიებია ცოდვა. საქართველოს მეფემ „მითვე დიდებითა ადიდა და არა შეუცვალა“, ე. ი. ლიპარიტი ამ მონანიების შემდეგ „მომტკიცებული მრავალთა და მტკიცეთა ფიცთა მიერ“ გაათავისუფლა და ყველა მისი ძველი უფლება შეუცვლელად ცნო. ლიპარიტის გათავისუფლება 1093 წელსვე უნდა მომხდარიყო. როგორც ჩანს, ლიპარიტმა თავისი ფიცი და პირობა არ შეასრულა და საქართველოს მეფეს კვლავ გაუორგულდა – „განაცხადა მტერობა და უკუთურებასა იწურთიდა“.

საქართველოს მეფე დარწმუნდა, რომ ლიპარიტის მორჯულება ისევე არ

დავით აღმაშენებელი

შეიძლებოდა, „რამეთუ კუდი ძაღლისა არა განემართების, არცა კარჩხიბი მართლად ვალს“ და კვლავ შეიპყრო. ეს აქტი ლიპარიტის გათავისუფლების მეორე, ე. ი. 1094 წელს მომხდარა. ორი წლის განმავლობაში პატიმრობაში ჰყოლია, შემდეგ კი ბიზანტიაში გაუძევებია, სადაც გარდაცვლილა კიდეც. ასე რომ, ლიპარიტ ბაღვაშის ორივე გამოსვლა მისი მარცხით დამთავრდა. ამასთან, 1096 წელს ლიპარიტი გაძევებულ იქნა საქართველოდან.

ვერც რატი ლიპარიტის ძემ გამოიჩინა თავი სიკეთითა და საქართველოს მეფისადმი ერთგულებით. ისიც, მისი წინაპრების მსგავსად, სამეფო ხელისუფლებისა და ერთიანი ქვეყნის წინააღმდეგ იბრძოდა. „კაცი ორგული და ნანდვილვე ნაშობი იქედნესი“ – ასეთი ეპითეტებით „ამკობს“ მემატიანე კლდეკარის უკანასკნელ ერისთავს. ბუნებრივია, როცა საქართველოს მეფემ კვლავ ორგულობა იწვნია ბაღვაშთა გვარიდან, ისღა დარჩა, უკიდურესი ზომისათვის მიემართა. დავით აღმაშენებელმა გააუქმა კლდეკარის საერისთავო და მისი მიწა-წყალი თავის სამეფოს შეუერთა (1103 წ.).

იმ ძმედითმა ღონისძიებებმა, რომლებიც დავით აღმაშენებელმა XI საუკუნის მიწურულში გაატარა, ქვეყანა აღმავლობის გზით წაიყვანა. „მოეშენა ქვეყანა ქართლისა, განძლიერდა დავით და განამრავლნა სპანი“. საქართველოს მეფე უკვე აღარ ეპუებოდა თურქ-სელჩუკებს. ქვეყნის სრული დამოუკიდებლობა სწორედ მაშინ იქნა აღდგენილი, როცა ხარკის მიცემა შეუწყვიტეს თურქ-სელჩუკებს. ეს კი 1099 წელს მოხდა.

საქართველოს სამეფო კარმა ანტიოქიისა და იერუსალიმის აღებით ლახვარჩაცემული თურქ-სელჩუკების მდგომარეობის აწონ-დაწონისა და პოლიტიკური შეფასების შემდეგ (ბუნებრივია, შესაბამისად საკუთარი ძლიერების გათვალისწინებითაც) შესაძლებლად ჩათვალა ხარკის გადახდის შეწყვეტა. ამგვარად, საქართველომ დაკარგული დამოუკიდებლობა სრულად აღადგინა 1099 წელს.

ასეთი დიდი პოლიტიკური წარმატების შემდეგ, ბუნებრივია, ჰერეთ-კახეთის საქართველოს ერთიან სახელმწიფო ორგანიზაციაში შემოყვანის საკითხი უაღრესად აქტუალურად დადგა. დავით აღმაშენებელი აქტიურ მოქმედებაზე გადავიდა. რა გასაკვირია, რომ უკვე ძლიერ ქვეყანას დიდი წინააღმდეგობა ვერ გაუწია კახეთის მეფე კვირიკემ („კაცი მეფობისავე თანა მეფექმნილი ვნებათა ზედა და ჭეშმარიტი ქრისტიანე“). დავით აღმაშენებელმა საქმე ზედაზნის აღებით დაიწყო, რადგან იმდროინდელი კახეთისათვის ამ ციხეს მეტად დიდი სტრატეგიული მნიშვნელობა ჰქონდა. „მოსცა ჟამი ღმერთმან მეფესა დავითს და წარუღო კვირიკეს ციხე ზედაზენი“ (1103).

შემდგომში, როგორც ირკვევა, საქართველოს მეფეს ბაღვაშთა მამულებითი სამფლობელო („მამული ლიპარიტეთი“) – არგვეთი – გელათისათვის შეუწირავს. დავით აღმაშენებელი იმთავითვე ზრუნავდა გელათის მატერიალურ კეთილდღეობაზე და სწორედ ამიტომ „მისცნა დედასა ღმრთისასა სამსახურებლად მისსა წინაშე მდგომელთა მისთათჳს“ მრავალი სოფელი. ამ შეწირულებით ეკლესიის მსახურთ საქართველოს სამეფო კარმა „უზრუნველი ტრაპეზი განუჩინა“. ამგვარად, კლდეკარის ერისთავების სამფლობელო მამული საეკლესიო (გელათის) საკუთრება გახდა. დავით აღმაშენებელმა, განსხვავებით ყველა მისი წინამორბედისაგან, – უკიდურესად გადამჭრელი ზომები მიიღო – დაამარცხა ბაღვაშები და გააუქმა კლდეკარის საერისთავო.

საქართველოს მეფე ყოველმხრივ ცდილობდა, საქვეყნოდ გამრიგე ხელისუფალი-ერისთავები დაექვემდებარებინა ფეოდალური მონარქიის მიერ შექმნილი სამეფო კარის ცენტრალური სამოხელეო აპარატისათვის. იგი „საქვეყნოდ გამრიგე მოხელეებს“ „დარბაზით გამოსულ მოხელეებად“ აქცევდა და უპირატესობასაც ამ უკანასკნელებს ანიჭებდა. დავით აღმაშენებლის დროს გაძლიერებულმა ვაზირთა სამეფისკარო სამოხელეო ინსტიტუტმა ერისთავობის ძველ ინსტიტუტს შეუტია. დავით აღმაშენებელი ერისთავობას ცენტრალიზებული ფეოდალური სახელმწიფოსთვის შეუფერებლად მიიჩნევდა, ყოველმხრივ ავიწროებდა და ცდილობდა მის გაუქმებას.

* * *

მნიშვნელოვანი მოვლენაა დიდგვაროვანი ფეოდალების ძაგან და მოდისტოს აბულეთისძეების ბრძოლა საქართველოს სამეფო კარის წინააღმდეგ. ნიშანდობლივია, რომ ძაგანის (აბულეთისძეთა) საგვარეულო ტრადიციულად მტრობას უწევდა საქართველოს სამეფო კარს და ისტორიის მთელ მანძილზე მეფისადმი ერთგულებით არ გამოირჩეოდა.

დავით აღმაშენებელი შიომღვიმისადმი ბოძებულ „ანდერძში“ ერთგვარი სინანულით აღნიშნავს, რომ მიუხედავად გარკვეული შელავათებისა, რაც საქართველოს მეფეების მხრიდან ძაგანის წინაპართა მიმართ იყო განხორციელებული, არავის ძაგანის გვარის წარმომადგენლებს) ერთგულებით არ დაუფასებია. ამდენად, საქმე გვაქვს მეტად სერიოზულ, პრინციპულ ბრძოლასთან, რომელშიც ერთ მხარეს საქართველოს მეფე დგას, ხოლო მეორე მხარეს – დიდგვაროვანი ფეოდალი ძაგანი და აბულეთისძეთა საგვარეულო.

აბულეთისძეთა საგვარეულოს წარმომადგენელთა ერთ-ერთ გამოსვლას – ღალატს საქართველოს სამეფო კარის წინააღმდეგ – ადგილი უნდა ჰქონოდა 1085-1089 წლებს შორის. როგორც ჩანს, ეს გამოსვლა მარცხით დამთავრებულა, მოღალატეები დაუსჯიათ, მაგრამ უკიდურესი ზომები არ გაუტარებიათ.

რაც შეეხება დავით აღმაშენებლის მიერ შიომღვიმისადმი მიცემულ „ანდერძში“ მოხსენიებულ (ძაგანისა და მოდისტოსის) მეფის საწინააღმდეგო მოქმედების ფაქტს, მას ადგილი უნდა ჰქონოდა დავით აღმაშენებლის მიერ ზედაზნის აღების (1103 წ.) შემდგომ. ამჯერად ძაგანმა დაინახა თავისი უიმედო მდგომარეობა, საქართველოსა და მისი მეფის აღმავლობა და უკანასკნელად სცადა გაბრძოლება.

ძაგანს ხელთ უგდია „მძლავრობით“ მცხეთის, წილკნისა და შიომღვიმის საეკლესიო მამულები. შიომღვიმე ძაგანს სიმაგრედ გადაუქცევია და თავის შეფარებაც იქ უცდია. რაც შეეხება მოდისტოსს, იგი წილკნის ეპარქიის ეპისკოპოსის პატივში აუყვანია და მისი მეოხებითაც არაერთი მიწა მიუტაცია.

საქართველოს მეფისაგან დევნილი ძაგანი იძულებული გახდა, შიო-მღვიმის მონასტრისათვის შეეფარებინა თავი. საეკლესიო მსახურებმა, როგორც ჩანს, აწონ-დაწონეს საქართველოს სამეფოს აღმავალი ძლიერება (არ გამოვრიცხავთ მათ პატიოსნებას და ერთგულებასაც მეფის სამსახურში) და ყოველგვარი ყოყმანის გარეშე საქართველოს მეფეს მისცეს შეპყრობილი ძაგანი. თვით დავით აღმაშენებელი ამ ფაქტს აფასებს, როგორც ერთგულების გამოხატულებას საეკლესიო მსახურების მხრიდან.

ამგვარად, ძაგანი და მისი მომხრეები შეიპყრო დავით აღმაშენებელმა. ფაქტია ის, რომ ძაგანი დავითს სიკვდილით არ დაუსჯია, მაგრამ მისთვის ყველა პატივი და ღირსება აუყრია. ნაწილი მისი მიწებისა „ნაქონები მისა – მიმართ თჳსებული და მღჳმეს ქონებანი მისნი საავაზაკონი და წარტყუენილი“ მისთვის დაუტოვებია სიკვდილამდე. მისი გარდაცვალების შემდეგ კი ძაგანის შთამომავლობა კარგავს ყოველგვარ უფლებას ზემოთ აღნიშნულ ქონებაზე.

ამავე პერიოდში ჩანს დავით აღმაშენებლის ბრძანებით შიო-მღვიმის – ღვთისმშობლის მონასტრის მშენებლობის დაწყება, რომელიც იმ ერთგულების ერთგვარი საზღაური იყო, რაც მემღვიმეებმა ძაგანის შეპყრობით და მისი მეფისადმი გადაცემით დაიმსახურეს. 1124 წელს მონასტრის მშენებლობა დამთავრებული ჩანს.

(გაგრძელება იქნება)

ანონსი

მომავალ ხუთშაბათს: კახეთ-ჰერეთის შემოერთება. ერწუხის ბრძოლა და სხვ.

შიო-მღვიმე

„ვემსახურო ადამიანებს“

2 მარტს სკკპ ცენტრალური კომიტეტის უკანასკნელ გენერალურ მდივანს, სსრ კავშირის პირველსა და ერთადერთ პრეზიდენტს მიხეილ გორბაჩოვს 85 შეუსრულდა.

29 თებერვალს გამოვიდა წიგნი **„გორბაჩოვი ცხოვრებაში“**.

იგი ჩამოყალიბებულია ციტატებისაგან, ნაწყვეტებისაგან მოგონებებიდან, სხვადასხვა ინტერვიუებიდან წერილებიდან, დოკუმენტებიდან, რუსი და უცხოელი ავტორების ცალკეული სტატიებიდან, მათ შორის, თავად მ. გორბაჩოვის მოგონებებიდან.

გთავაზობთ ნაწყვეტებს ამ წიგნიდან: **„ვემსახურო ადამიანებს“.**

მ.ს. გორბაჩოვის ინტერვიუებიდან წიგნის ავტორთან, 2015 წლის ნოემბერი, პასუხები მოკლე შეკითხვებზე ეგრეთ წოდებული „მარსელ პრუსტის ანკეტიდან“. მიაჩნიათ, რომ ეს პასუხები ამ შეკითხვებზე საშუალებას იძლევა, უფრო თვალნათლივ წარმოვიდგინოთ ადამიანის პიროვნება.

— თქვენი ყველაზე დამახასიათებელი ნიშანი?

— გეფიცებით, ცნობისმოყვარეობა.

— თვისებები, რომლებსაც თქვენ ყველაზე მეტად აფასებთ მამაკაცში?

— მამაკაცში — მამაკაცს.

— თვისებები, რომლებსაც თქვენ ყველაზე მეტად აფასებთ ქალში?

— ქალში — ქალს.

— ყველაზე მეტად რას აფასებთ თქვენს მეგობრებში?

— საიმედოობას.

— რა არის თქვენი ყველაზე საყვარელი საქმე?

— ვკითხულობდე და ვწერდე წიგნებს.

— როგორია თქვენი ოცნება ბედნიერებაზე?

— მე გამიმართლა. თავი ბედნიერ ადამიანად მიმაჩნია. რაც შეეხება ოცნებას...

— რა მიგაჩნიათ ყველაზე დიდ უბედურებად?

— ცხოვრებიდან ჩემი მახლობელი ადამიანების წასვლა.

— როგორი გინდოდათ, რომ ყოფილიყავით?

— საერთოდ, მე ჩემი თავით კმაყოფილი ვარ.

— რომელ ქვეყანაში გინდოდათ, რომ გეცხოვრათ?

— იმაში, რომელშიც დავიბადე და ვცხოვრობ.

— თქვენი საყვარელი ყვავილი?

— რაისას ყოველთვის ვჩუქნიდი წითელ და თეთრ ვარდებს, იგი კი მე — კესანეს.

— თქვენი საყვარელი ფრინველი?

— ბულბულები რუსულ ბაღებში, წეროები სოლივით რომ დაფრინავენ, მინდვრის ბეღურა, მტრედი.

— თქვენი საყვარელი მწერლები და პოეტები.

— ლევ ტოლსტოი, ალექსანდრ პუშკინი, მიხეილ ლერმონტოვი, ივან ტურგენევი, ანტონ ჩეხოვი, მიხეილ შოლოხოვი, კონსტანტინ სიმონოვი, ევგენი ევტუშენკო, ჩინგიზ აიტმატოვი, ვასილ დიკოვი, ერნესტ ჰემინგუეი, გაბრიელ გარსია მარკესი, ერიხ — მარია რემარკი, არტურ კონან დოილი, მარკ ტვენი, ნიკოლაი ოსტროვსკი, ონორე დე ბალზაკი, ჯეკ ლონდონი.

— საყვარელი კომპოზიტორები.

— ჩაიკოვსკი, რახმანინოვი, შოპენი, ბეთჰოვენი, მალერი.

— რა გეჯავრებათ ყველაზე მეტად?

— ღალატი.

— ისტორიული პერსონაჟები, რომლებიც გეზიზღებათ?

— კრიუჩკოვი და კომპანია („გკჩპ“-ს შეთქმულთა ჯგუფი).

— სამხედრო ისტორიაში რომელ მომენტებს აფასებთ ყველაზე მეტად?

— ბრძოლას მოსკოვთან, სტალინგრადის ბრძოლას. მამაჩემმა პირველი ჯილდო დნეპრის ფორსირებისათვის მიიღო. მონაწილეობდა კურსკის ბრძოლაში.

— უნარი, რომელიც გინდათ, რომ გქონდეთ?

— უცხო ენების ცოდნა. სამწუხაროდ, არც ერთი არ ვიცი.

— როგორ გსურდათ, რომ გარდაცვლილიყავით?

— ...

— თქვენი სულიერი განწყობა ამ მომენტში?

— მაგარი.

— თქვენი დევიზი?

— ვემსახურო ადამიანებს.

АРГУМЕНТЫ И ФАКТЫ

დედამიწის ზურგზე

„ჩვეულებრივად პრეზიდენტები ასე არ იქცევიან“

სამშაბათს ექს-პრეზიდენტი და სახელმწიფოს მეთაურის პოსტის ერთ-ერთი კანდიდატის ქმარი მივიდნენ საარჩევნო უბანზე ბოსტონის ერთ-ერთ რაიონში, სადაც ჰქონდათ ურთიერთობა თანამშრომლებთან და პოზირებდნენ ფოტოსათვის. მასაჩუსეტის შტატის ხელისუფლებამ განაცხადა, რომ კლინტონს შეუძლია იმყოფებოდეს უბანზე, მაგრამ არ უნდა ჰქონდეს ურთიერთობა ამომრჩევლებთან.

შოტლანდიელები სოციალურ ქსელებში განიხილავენ მანათობელ ბურთს ნაპერწკლებით, ცაზე რომ გამოჩნდა

შოტლანდიისა და ჩრდილოეთი ინგლისის მცხოვრებლები ორშაბათს საღამოს არაჩვეულებრივი მოვლენის მოწმეები გახდნენ. საღამოს ცაზე გაიელვა ცეცხლოვანმა ბურთმა, რომელიც აფრქვევდა შუქს, მწვანე და თეთრ ნაპერწკლებს. სამხედროები კომენტარს არ უკეთებენ მომხდარს, გვრჩება ვარაუდი, რომ ეს იყო მეტეორიტი. არანაირი ჭექა-ქუხილი მითითებულ რაიონში აფეთქების გამოჩენის დროს არ ყოფილა.

ნატოში სირიელ ლტოლვილთა მიგრაციას ევროპის წინააღმდეგ რუსეთის იარაღი უწოდეს

ჩრდილოატლანტიკური ალიანსის ევროპული ძალების მთავარსარდალი ფილიპ ბრიდლავი მიიჩნევს, რომ მოსკოვი და დამასკო განზრახ ახორციელებენ ავიადარტყმებს სირიაში მშვიდობიან მოსახლეობაზე, რათა გაზარდონ ლტოლვილთა ნაკადი ევროკავშირის ქვეყნებში. ამრიგად, გენერლის აზრით, რუსეთი ცდილობს ევროკავშირის ყურადღების გადატანას საემიგრაციო კრიზისთან ბრძოლაზე სხვა მნიშვნელოვანი პრობლემების გადაწყვეტის სანაცვლოდ.

თურქეთი ეგეოსის ზღვაში არ უშვებს ნატოს ხომალდებს მიგრანტების გადამყვანებთან ბრძოლისათვის

ოპერაციის გერმანული სარდლობის მხრიდან თხოვნის მიუხედავად, ანკარამ გასულ უქმე დღეებში უარი განაცხადა, გაეტარებინა ალიანსის ხომალდები თავის ტერიტორიულ წყლებში, იტყობინება დიპლომატიური წყარო. ერთ-ერთი სააგენტოს კიდევ ერთმა მოსაუბრემ დიპლომატიურ წრეებში დაადასტურეს ცნობა.

თურქეთის დაზვერვა მოსალოდნელ ტერაქტებზე საუბრობს

დაზვერვის ცნობით, გუშინ ტერორისტული დაჯგუფება „ისლამური სახელმწიფოს“ ორი წევრი თურქეთის ტერიტორიაზე, დევნილის სტატუსით მოხვდა.

ასევე, გაზეთის ინფორმაციით, ტერაქტები თურქეთის სამხრეთ-აღმოსავლეთის პროვინციებშია მოსალოდნელი.

მიმდინარე წლის 17 თებერვალს, ანკარაში პარლამენტის, გენშტაბისა და სამხედროების საერთო საცხოვრებელთან ძლიერი აფეთქება მოხდა. ტერაქტის შედეგად 28 ადამიანი დაიღუპა, 61 დაშავდა.

აშშ თურქეთს 4683 მილიონის ღირებულების ავიაბომბებს გადასცემს

პენტაგონმა ამერიკის ორ კომპანიასთან მართვადი ბუნკერსაწინააღმდეგო ავიაბომბების BLU-109 დამზადებისთვის 4683-მილიონიანი კონტრაქტი გააფორმა. ავიაბომბებს შემდგომ თურქეთის საჰაერო ძალებს გადასცემენ. ამის შესახებ ყოველკვირეული გამოცემა Defence News წერს.

„პენტაგონმა 4682,9-მილიონიანი კონტრაქტი გააფორმა, იმისთვის რომ თურქეთს მართვადი ავიაბომბები მიაწოდოს, თუმცა მათი რაოდენობა ცნობილი არ არის. შეთანხმება დროულია, რადგან ჩვენ ასიმეტრიულ სამხედრო ქმედებებში აქტიურად ვმონაწილეობთ და მართვად ბომბებს ვსაჭიროებთ“,-განაცხადა თურქეთის თავდაცვის სამინისტროს წარმომადგენელმა.

პენტაგონმა კონტრაქტი ამერიკულ კომპანიებთან Ellwood National Forge ?? General Dynamics Ordnance and Tactical Systems გააფორმა.

ტრამპი და კლინტონი იმარჯვებენ ქენჭისყრაში „სუპერსამშაბათს“

„სუპერსამშაბათს“ განისაზღვრება ამომრჩეველთა სიმპათიები ერთბაშად 12 შტატში. წინასწარი მონაცემებით, მილიარდერმა, ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტობის კანდიდატმა რესპუბლიკური პარტიიდან დონალდ ტრამპმა და ამერიკის შეერთებული შტატების ექს- სახელმწიფო მდივანმა, კანდიდატმა დემოკრატიული პარტიიდან ჰილარი კლინტონმა გაიმარჯვეს 7 შტატში.

სერბიის პრემიერი ამტკიცებს, რომ ბელგრადი არ აპირებს ნატოში შესვლას

პრემიერ-მინისტრ ალექსანდარ ვუჩიჩის სიტყვებით, სერბია „არ აპირებს ნატოში შესვლას, მას სურს, იყოს სამხედრო თვალსაზრისით ნეიტრალური“. „სერბიას არ გამოუთქვამს სურვილი შეუერთდეს ნატოს“, — თქვა მთავრობის ხელმძღვანელმა და დაადასტურა, რომ ამ ცოტა ხნის წინათ ხელმოწერილი კანონი სერბიასა და ნატოს შორის შეთანხმების დადასტურების შესახებ განეკუთვნება 2006 წლის „ტექნიკურ შეთანხმებას“.

სირიაში პრეს-ტურის მონაწილეებს 8 ჟურვი ესროლეს

სირიაში თავდასხმის შედეგად, ოთხი ჟურნალისტი დაშავდა. ინფორმაციას ამის შესახებ რუსეთის საგარეო საქმეთა სამინისტრო ავრცელებს.

თავდასხმა ლატაკიას პროვინციაში მიმდინარე პრეს-ტურის დროს მოხდა. დაშავებულთა შორის ბულგარეთის, კანადის და ჩინეთის მოქალაქეები არიან.

ლავროვის უწყება აცხადებს, რომ პრეს-ტური იმ ქალაქებში ტარდებოდა, სადაც ცეცხლის შეწყვეტის შესახებ შეთანხმება უკვე ძალაში უნდა იყოს შესული.

მათი ცნობით, ჟურნალისტებს დაახლოებით 8 ჭურვი ესროლეს. იერიში თურქეთის ტერიტორიიდან განხორციელდა.

ხელისუფლებისა და კანონის საყრდენი

ძველმა ბერძენმა დრამატურგმა ევრიპიდემ ჯერ კიდევ ჩ.წ.ა. V საუკუნეში სამი — მდიდართა, ღარიბთა და საშუალო — საზოგადოებრივი კლასი აღწერა.

ყველაზე საინტერესო ისაა, რომ მას მიაჩნდა, რომ მდიდრებისგან არანაირი ხეირი არ არის, რადგან მათ მხოლოდ ის აზრი უტრიალებთ, როგორ წაღლიტონ სხვებს, რაც შეიძლება მეტი. ღარიბები სახიფათონი არიან შეძლებულთათვის, რადგან თვალი მუდამ მათ ქონებაზე უჭირავთ. საზოგადოების საყრდენად კი იგი მხოლოდ საშუალო, „ხელისუფლებისა და კანონის მორჩილ“ ფენას მიიჩნევდა.

სპეციალისტების გაანგარიშებით, მსოფლიოში საშუალვო კლასის წარმომადგენელთა რიცხოვნობამ სადღეისოდ მილიარდ კაცს მიაღწია. ეკონომიკურად განვითარებული 53 ქვეყნის ჩამონათვალში, ყველაზე შეძლებული საშუალო კლასია **შვეიცარიაში,** რომლის წარმომადგენელთა საშუალო დანაზოგი 157,5 ათასი ევროა. მეორე და მესამე ადგილებზე არიან **ამერიკელები** და **ინგლისელები** შესაბამისად, 139 და 86 ათასი ევროს დანაზოგით.

გვიან არასდროს არ არის...

თამბაქოს მოწევაზე უარის თქმა გვიან არასდროს ყოფილა.

უწინ ითვლებოდა, რომ 60 წლის ასაკის მიღწევის შემდეგ სიგარეტზე უარის თქმას აზრი აღარა აქვს, რადგან ეს ჯანმრთელობის მაჩვენებლებს აღარ აუმჯობესებს. გერმანელმა მეცნიერებმა დაამტკიცეს, რომ მოწიფულ ასაკშიც კი თამბაქოს მოწევაზე უარის თქმა კაცს სიმხნევეს ჰმატებს, უახლოეს ხუთ წელიწადში კი სიკვდილის საფრთხეს 1,3-ჯერ ამცირებს.

მუხლები გტკივათ? იმოძრავეთ!

მუხლების სახსრებთან დაკავშირებული პრობლემები ბევრ ჩვენგანს უმწარებს ცხოვრებას. თანაც, ასაკის მატებასთან ერთად ისინი უფრო ხშირად გვახსენებენ თავს.

ხშირად საქმე იქამდე მიდის, რომ ამ პრობლემების გამო იძულებულნი ვართ, ჩვენი აქტივობა შევზღუდოთ. თუმცა კი, ამ შემთხვევაშიც ექიმი-ორთოპედები მოძრაობის გაგრძელების რეკომენდაციას იძლევიან.

საქმე ისაა, რომ **მოძრაობა მუხლების სახსრების მდგომარეობას აუმჯობესებს, რომლებშიც სისხლძარღვები არ არის, ამიტომაც მკვებავ ნივთიერებებს მიმდინარე კუნთებიდან იღებენ.** იგივე ეხება წამლებსაც, რომლებსაც ექიმები სახსრების მდგომარეობის გასაუმჯობესებლად ნიშნავენ: **უმოძრაობის დროს სახსარში გაცილებით ნაკლები სამკურნალო ნივთიერება ხვდება, შესაბამისად, თერაპიის ეფექტიც გაცილებით მცირე იქნება.**

სახსრების პრობლემების წარმოშობის შემთხვევაში ექიმები დაბეჯითებით გვირჩევენ ცურვასა და აერობიკას. წყალში სახსრებს სხეულის წონა არ აწვება, სისხლის ნაკადი კი ძლიერდება ოდნავი მოძრაობის დროსაც კი.

სახსრების აქტიურად მოქმედებას ხელს უწყობს **ველოსიპედით სიარული** ანდა **ველოტრენაჟორზე ვარჯიში.** ამ დროს ყურადღება უნდა მიაქციოთ იმას, რომ პედლების ტრიალისას სახსრებზე ძალის დატანება არ გჭირდებოდეთ.

თუკი ვარჯიში შინ გირჩევნიათ, მაშინ ფეხზე დამდგარმა საყრდენად **კედელი** ან **მაგარი სკამი** შეარჩიეთ, რაც მუხლებზე დატვირთვას შეამცირებს. ამ დროს უმჯობესია ნახევრად ჩაბუქნოთ და მკვეთრ მოძრაობებს მოერიდოთ.

გახსოვდეთ: **რა სახეობის ვარჯიშსაც უნდა აკეთებდეთ, ოდნავი ტკივილის წარმოშობისთანავე შეწყვიტეთ!** თანაც, ყველა ვარჯიშის თაობაზე მკურნალ ექიმს შეუთანხმდით!

კიდევ ერთხელ თამბაქოს მავნებლობის შესახებ

გულის სისხლძარღვთა დაავადებების განვითარების საფრთხე, თამბაქოს მოწევაზე უარის თქმის შემდეგ, კიდევ 15 წლის მანძილზე მაღალი რჩება და არ ქრება ისე სწრაფად, როგორც აქამდე ეგონათ.

ამერიკელმა მედიკოსებმა 2,5 ათასზე მეტი თამბაქოს მწეველის გულის სისხლძარღვთა მდგომარეობა შეისწავლეს. მათგან 600 კაცი აქტიური მწეველი იყო, დანარჩენებმა თამბაქო 15 წელზე მეტი ხნის წინათ გადააგდეს. დაკვირვება 13 წლის განმავლობაში ხორციელდებოდა, რა დრსაც გულის სისხლძარღვთა დაავადება 21 პროცენტს განუვითარდა იმათ, ვისაც თამბაქო არასდროს მოუწევია და ასევე 21 პროცენტად იმ ხალხს, ვინც სიგარეტის მოწევას 15 წლის წინათ დაანება თავი. აქტიურ მწეველთა შორის ეს მაჩვენებელი 50 პროცენტს შეადგენდა.

ამდენად, სიკვდილის რისკი თამბაქოს აქტიურ მწეველებში, არამწეველებთან შედარებით, ორჯერ მაღალია. ერთი სიტყვით, დასკვნა ცალსახაა: **სჯობს, თამბაქო საერთოდ არ მოწიოთ, მაგრამ ეს მავნე ჩვევა მაინც თუ გაქვთ, რაც უფრო მალე გადააგდებთ მას, მით უკეთესია თქვენთვის.**

ცხრა თვე – ფრჩხილის ლაქის გარეშე

ფრჩხილების ლაქები, ასევე დეკორატიული კოსმეტიკის მრავალი სხვა სახეობა, ძალიან ხშირად, ეგრეთ წოდებულ ფტალატებს შეიცავს, რომელთა მოხმარებას ფეხმძიმობის პერიოდში, მომავალ დედებს არ ურჩევენ.

ეს ნივთიერებები საჭიროა კოსმეტიკურ საშუალებათა ხარისხის გასაუმჯობესებლად, მაგრამ, ამავე დროს, განვითარების პროცესში მყოფი ნაყოფისთვის ისინი შეიძლება ზიანის მომტანი აღმოჩნდნენ. აღნიშნული იმასთანაა დაკავშირებული, რომ თავისი მოქმედებით ფტალატები ქალის სქესობრივ ჰორმონებს ჰგვანან. ამიტომაც, ფეხმძიმობის დროს ექიმები ამ კოსმეტიკის მოხმარებას არ გვირჩევენ. ამ ხნის განმავლობაში მომავალმა დედებმა უმჯობესია, ცხრათვიანი პაუზა აიღონ.

უშიმშილო დიეტა

ვინც დიეტას იცავს, მისთვის შიმშილის გამუდმებული გრძნობა კარგადაა ცნობილი, ამიტომაც ბევრს აინტერესებს, როგორ შეიძლება ამის გამკლავება?

კვების სპეციალისტები ამ დროს რაც შეიძლება მეტი სითხის მიღებას გვირჩევენ. ბევრს წყურვილისა და შიმშილის გრძნობა ერთმანეთში ერევა და როცა ორგანიზამი წყალს მოითხოვს, მას დამატებით ულუფა წყალს აწვდიან. ამიტომ, წყლის დალევა ჭამამდე 15-20 წუთითაა საჭირო, რაც ჩვეულებრივზე გაცილებით ნაკლებ საჭმელს მოგანდომებთ.

- **ისაუზმეთ!** მაშინ დღის მანძილზე ნაკლებს შეჭამთ. ეს განსაკუთრებით მნიშვნელოვანია „ბუებისთვის“, ვინაიდან ისინი მადაზე საღამოსთვის მოდიან, გვიანობით საკვების მიღება კი ასუქებს.
- **ნუ შიმშილობთ!** თუკი არ გძინავთ, ჭამებს შორის შუალედები 5 საათს არ უნდა აღემატებოდეს, წინააღმდეგ შემთხვევაში შიმშილის გრძნობა მძაფრდება, რის შედეგად საღამოს ტრაპეზი უსასრულოდ გაგიგრძელდებათ.
- **ნუ უცქერთ ტელევიზორს!** ფილმების ან სხვა გადაცემების დროს თავის ტვინი გაძღომის ნიშანს დროულად ვერ იღებს, ამიტომაც მჭამელი ნორმაზე მეტ საკვებს იღებს.

ეს დალოცვილი სახიფათო სასმელი!

გადამეტებული ყველაფერი საზიანოა, მათ შორის, ცხადია, ალკოჰოლიც, მაგრამ ზოგჯერ თურმე, აუცილებელიც კი ყოფილა. ყველაფერი მისი მიღების დოზაზეა დამოკიდებული, ამიტომ თავდაპირველად ეს საკითხია გადასაწყვეტი. ზომიერად მიღებული სპირტიანი სასმელი კუჭშივე იშლება და ღვიძლამდე, გულამდე და თავის ტვინამდე ვერ აღწევს. ამდენად, უსაფრთხო დოზებად, გემოვნებისდა მიხედვით, არის; 60 გრამი მაგარი სასმელი (არაყი, კონიაკი, ვისკი), 180-200 გრამი ღვინო ან შამპანური, 0,5 ლიტრი ღია ფერის ლუდი.

მაგრამ ისიც ხომ არის, რომ სპირტიანი სასმელები სპირტის გარდა კიდევ ფერმენტებსაც შეიცავენ, ნახშირწყლებსაც და პექტინებსაც. ამიტომ:

თუ გული გაწუხებთ, უმჯობესია, ღვინო მიირთვათ, სასურველია წითელი. ცნობილია, რომ ყურძნის მუქი ჯიშები სისხლძარღვების ტონუსს ამაღლებს. შეგიძლიათ, შამპანურიც მიირთვათ, თუმცა კი, მანამდე სასურველია, ბუშტულები გამოუშვათ. საერთოდაც, **მათთვის, ვისაც გული აწუხებს, ნებისმიერი სახეობის გაზიანი სასმელები რეკომენდებული არ არის: ისინი მუცლის გაბერილობას იწვევენ და შიდა ორგანოებზე, მათ შორის გულზე ზეწოლას აძლიერებენ.**

თუ წნევას უჩივით: **ჰიპერტონიკებს** ვურჩევთ, ცოტაოდენი კარგი კონიაკის დალევას, რომელიც სისხლის ნაკადს ათავისუფლებს, სისხლძარღვთა სპაზმებს ხსნის; ჰიპოთენიკებმა კი კონიაკი უმჯობესია, არ დალიონ, რადგან შეიძლება წნევა დაუვარდეთ. მათთვის უმჯობესია ცოტაოდენი რომის მიღება, ოღონდ, ვთქვათ, კოლასთან ერთად. ანდა, სულაც, ორიოდე ჭიქა მსუბუქი ღვინის დალევა.

დიაბეტიკებს ვურჩევთ არაყის სმას. „სუფთა“ პროდუქტი მათთვის უფრო უსაფრთხოა შაქრის აწევის თვალსაზრისით. მათ უნდა გამორიცხონ მენიუდან ტკბილი სასმელები, მათ შორის **შამპანური — სიმბოლურადაც კი არ უნდა დააკარონ პირი! არც ლუდის დალევა ღირს,** რადგან იგი მაინცდამაინც კარგად არ მოქმედებს კუჭქვეშა ჯირკვალზე, თანაც მასში ბევრი ნახშირწყლებია.

თუკი გასტრიტი ან კუჭის წყლული გაქვთ, შამპანურის დალევა მხოლოდ სიმბოლურად შეგიძლიათ, რადგან ორი ყლუპიც კი საკმარისია გულძმარვის გამოსაწვევად. კუჭისთვის უკეთესია ნაყენი (ოღონდ არა ძლიერი!) მიირთვათ.

მათ კი, ვისაც ალერგია აქვს, თავი უნდა აარიდონ უცნობი შემადგენლობის კოქტეილებს, ბალახების ნაყენებს, მათ შორის, ვგერმუტებს, ლიქიორებს, ძლიერ დაფერმენტებულ ღვინოებს. ამას სჯობს ან მშრალი შამპანურის, ან კარგი არყის დალევა. სუფთა ალკოჰოლზე ალერგია, პრინციპში, არ არსებობს, მას მხოლოდ მინარევები იწვევს. ამასთან ისიც ნუ დაგავიწყდებათ, რომ სპირტიანი სასმელი ნებისმიერ ალერგიულ რეაქციას აძლიერებს. ამდენად, უმჯობესია, ყოველთვის ზომიერება დაიცვათ.

დაბერებას მოერიდეთ!

აღმოჩნდა, რომ ადამიანები, ვისაც პიჟამოებით სძინავთ, უფრო ადრე ბერდებიან.

თურმე, სხეულის მომატებული ტემპერატურა სიმაღლის ჰორმონის გამოყოფას ამუხრუჭებს, რომელიც უჯრედებს აღადგენს. ამის გარდა სიმაღლის ჰორმონის სტრესის ჰორმონის სინთეზს პროვოცირებს, რომელიც ინსულინის გამომუშავებას უწყობს ხელს.

საბოლოო ანგარიშით, ორგანიზმი აღდგენას ვერ ახერხებს, სამაგიეროდ ცხიმს აგროვებს, რაც დაბერების პროცესს აჩქარებს.

◎ ლიცენზიატი

ოვალური ბურთიდან - ჭაიერამდე

ამას წინათ უნგრულ დიორში ტყვიის მსროლელთა ევროპის ჩემპიონატზე ოლიმპიური ჩემპიონის — ნინო სალუქვაძის 18 წლის ვაჟმა ცოტნე მაჭავარიანმა პნევმატურ პისტოლეტ „შტაიერით“ 579 ქულას მოუყარა თავი, რაც საკმარისი აღმოჩნდა რიოს ოლიმპიური თამაშების ლიცენზიის მოსაპოვებლად. ქართული სპორტის ისტორიაში ეს იქნება პირველი შემთხვევა, როცა დედა-შვილი ოლიმპიადაზე ერთად იბრძოლებს მედლებისთვის.

ცოტნე მაჭავარიანი 1997 წლის 26 სექტემბერსაა დაბადებული. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პირველკურსელია. ბავშვობაში სპორტის სხვადასხვა სახეობაში ვარჯიშობდა. უფრო რაგბიმ გაიტაცა. არც არის გასაკვირი — მამა, გოჩა მაჭავარიანი, ხომ ყოფილი მორაგბეა.

— მამას ხშირად დავყავდი საერთაშორისო და ეროვნული ჩემპიონატების მატჩებზე, — მითხრა ცოტნემ. — ვაჟკაცური სპორტია და დამაინტერესა. 10 წლისამ „აკადემიაში“ დავიწყე ვარჯიში გიორგი ღამბაშიძესთან, მერე ორი წელიწადი „იუნკრებში“ ვიყავი.

— კი მაგრამ, სროლა?

— ალბათ, დედის გენების დამსახურებაა, რომ, რაც თავი მახსოვს, იარაღი სულ მიყვარდა. ტელევიზორის პულტი, სახაზავი თუ სხვა საგნები ჩემთვის პისტოლეტი იყო და ოჯახის წევრებს ომობანას ვეთამაშებოდი. ჩემი და დამცინოდა, შენგან კარგი ჯარისკაცი დადგებაო. რვა-ცხრა წლის ვიყავი, დედამ, გერმანიასა და იტალიაში მსოფლიოს თასებზე რომ მიდიოდა, მეც წამიყვანა. შეჯიბრებას რომ ვუყურებდი, ძალიან მომინდა ტყვიის სროლაში მევარჯიშა, მაგრამ ჩვენს სახეობაში იარაღთან საურთიერთობოდ ასაკია შეზღუდული, ამიტომ ერთი სული მქონდა, 12 წლის როდის გავხდებოდი. რაგბის პარალელურად ტირშიც დავდიოდი. ერთი წლის შემდეგ ჟინი გამიქრა და სროლისთვის თავის დანებება მინდოდა, რადგან რაგბი უფრო მიტაცებდა. მაინც ბურთია და მოზარდებს უფრო მოძრავი თამაშები იზიდავს. სამწუხაროდ თუ საბედნიეროდ, ერთ-ერთ ვარჯიშზე ტრავმა მივიღე და სამი თვე მოედანზე გასვლა ამეკრძალა. უსაქმოდ რა გამაძლებინებდა და ისევ ნინოს ტირს მივაშურე. ეს იყო ოთხი წლის წინათ. უფრო დედა მავარჯიშებდა, ხან - ბაბუა, ვახტანგ სალუქვაძე, ლევან ქადაგიძეც ხშირად მეხმარება.

— და რაგბის თავი დაანებე?

— არა, ტრავმის მოშუშების შემდეგ ისევ განვაგრძე ვარჯიში, მამაც მაგულიანებდა. რადგან ორი ფრონტისთვის დრო და ენერგია არ მყოფნიდა, სროლისთვის, ეს უკვე მეორედ, თავის დანებება მინდოდა. სწორედ მაშინ საქართველოს ჩემპიონატი გაიმართა პნევმატური პისტოლეტიდან სროლაში. ცდუნებას ვერ გავუძელი და მეც ვიასპარეზე. 563 ქულით ლევან ქადაგიძესთან ერთად პირველი-მეორე ადგილები გავიყავი. ეს იყო 2013 წელს. მერე ესპანეთში მსოფლიოს თასზე წამიყვანეს. სუსტი შედეგი ვაჩვენე. ბაბუამ მითხრა, დედაშენის შვილი ასე ცუდად არ უნდა ისროდესო. შემრცხვა და გულში ვთქვი, ყველას დაგიმტკიცებთ, რომ მეც რაღაც შემიძლია-მეთქი. უფრო მონდომებით დავიწყე ვარჯიში. 2014 წელს ჭაბუკთა ევროპის პირველობაზე კვარცხლბეკზე მდგარი ჩემპიონის ცრემლიან თვალებს რომ ვუყურებდი, მეც მომინდა, მსგავსი სიხარული განმეცადა.

— შარშან ევროპის ახალგაზრდულ პირველობაზე ხომ მოიპოვე ბრინჯაოს მედალი?

— დიახ, ოღონდ გუნდურში. მე, აკაკი მოსულიშვილმა და ვლადიმერ მაიოროვმა 1206 ქულით მესამე ადგილი დავიკავეთ — ჩემპიონებმა მხოლოდ 2 ქულით გაგვასწრეს. ჩემი ბრალი იყო — ცოტა უკეთ რომ მესროლა, „ოქრო“ ჩვენი იქნებოდა, ამიტომაც ბიჭებს დღემდე ბოდიშს ვუხდი.

— წლეულს ხომ შეიძლებოდა დანაკარგის ანაზღაურება?

— რა თქმა უნდა, მაგრამ შარშან წლის მიწურულს საოჯახო თათბირზე გადაწყდა, რომ ახალგაზრდულის მედალი სალიცენზიო ასპარეზობისთვის შეგვეწირა. მირჩევნია, ვცადო და არ გამომივიდეს, ვიდრე არ ვიასპარეზო და მერე მთელი ოთხი წელი ვინანო-მეთქი, ვუთხარი ჩემებს. მათაც მხარი დამიჭირეს.

— რა იყო ეს — ინტუიცია თუ თავდაჯერებულობა?

— ალბათ, არც ერთი და არც მეორე, უბრალოდ, მინდოდა, ბედი მეცადა. ევროპაზე მხოლოდ სამი ლიცენზია თამაშდებოდა. წარმატების იმედი ნამდვილად არ მქონია, რადგან ისეთი ცნობილი ჩუბინები იყვნენ უსაგზუროდ დარჩენილი, ჩემი მწირი გამოცდილებით მათთან პაექრობაში რას გავხდები-მეთქი. მაგრამ ცდა ხომ ბედის მონახევრეა.

— ცეცხლის ხაზზე გასვლისას რას ფიქრობდი?

— დედის და ბაბუას რჩევები გამეთვალისწინებინა, საკუთარ თუ სხვის შედეგებზე არ მეფიქრა, უბრალოდ, სწორ გასროლაზე ვყოფილიყავი ორიენტირებული. ასპარეზობამდე თვალებიც კი დავხუჭე, რომ კონცენტრაცია შემენარჩუნებინა. როცა ვინმე გესალმება ან ხელს გიქნევს, ძალაუნებურად ყურადღება მისკენ გაგექცევა...

— შეჯიბრებისას პირადი მონიტორი რატომ შეაბრუნე?

— ორი სერიის შემდეგ ცუდი შედეგები არ მქონდა, მაგრამ 21-ე გასროლა რომ სუსტი გამომივიდა, მონიტორი დამღუპავს-მეთქი, გავიფიქრე და შევატრიალე. არ შევმცდარვარ. ზედიზედ 15 ტყვია მოვთქვი, ყველას დაგიმტკიცებთ, რომ მეც რაღაც შემიძლია-მეთქი. უფრო მონდომებით დავიწყე ვარჯიში. 2014 წელს ჭაბუკთა ევროპის პირველობაზე კვარცხლბეკზე მდგარი ჩემპიონის ცრემლიან თვალებს რომ ვუყურებდი, მეც მომინდა, მსგავსი სიხარული განმეცადა.

— სროლა რომ დავასრულე, მხოლოდ მაშინ შევხედე ტაბლოს. მეექვსე ვიყავი. გული დამწყდა — სამი ადგილი რაღა იყო, ლიცენზია მაინც ამეღო-მეთქი. საგზურს ხომ მხოლოდ სამეული იძლეოდა. ამ დროს აცრემლებული ბაბუა მომიახლოვდა, გადამეხვია და ლიცენზიას გილოცავო, მითხრა. თურმე ჩემ წინ მყოფ სპორტსმენებს რიოს საგზურები უკვე ჰქონიათ. მართალი გითხრათ, მეცხრე ცაზე არ ავსულვარ. არადა, მეგონა, ლიცენზიას რომ მოვიპოვებდი, ქვეყნიერება ჩემი იქნებოდა. წარმატებაზე მეტად ის მესიამოვნა, ბაბუას სიხარულის ცრემლი რომ მოვგვარე. დედაჩემმა პირველად ლიცენზია რომ აიღო, ბაბუას მაშინაც უტირია. ვიმედოვნებ, რომ „ვახოს“ სიხარულის ცრემლის მიზეზი კიდევ ბევრჯერ ექნება.

— დიორში შენს წარმატებას როგორ გამოეხმაურნენ?

— თურქმა ჩემპიონმა დიკეცმა, დოპინგზე შესამოწმებლად რომ ვიყავით, 18 წლისა ასეთი სასწაული რა გაჩნდიო, მკითხა. ნინოს შვილი ვარ-მეთქი, ვუთხარი. გაეცინა და ყველაფერი გასაგებიაო. მესიამოვნა, რომ ყველა სპორტსმენმა და მწვრთნელმა გულით მომილოცა წარმატება.

— ყველა ოლიმპიელის ოცნებაა კვარცხლბეკზე ასვლა...

— ახალგაზრდული ასაკის მიუხედავად, არც მე ვარ გამონაკლისი. ოღონდ ამაზე ახლა არ ვფიქრობ. მთავარია, სათანადოდ მოვემზადო და ოლიმპიადამდე დარჩენილ შეჯიბრებებში სტაბილურობა შევინარჩუნო. დანარჩენი კი მერე ვნახოთ...

* * *

უნგრული შთაბეჭდილებების გაზიარება ვთხოვეთ ოლიმპიურ ჩემპიონ ნინო სალუქვაძეს:

— ტყვიის მსროლელებისთვის შეგვინარჩუნო. დანარჩენი კი მერე ვნახოთ...

უნგრული შთაბეჭდილებების გაზიარება ვთხოვეთ ოლიმპიურ ჩემპიონ ნინო სალუქვაძეს:

— ტყვიის მსროლელებისთვის საგზური მოპოვებული გქონდა? რიოს საგზურის დასაბევებლად ევროპის ჩემპიონატი ბოლო შეჯიბრება იყო, თანაც 3-3 ლიცენზია თამაშდებოდა, არადა, ბევრი სახელოვანი ჩუბინი რჩებოდა „თამაშგარე“. ასეთ სიტუაციაში ახალგაზრდებისთვის, მით უმეტეს 16 წლის ლიზი კილაძისა და 18 წლის ცოტნე მაჭავარიანისთვის ლიცენზიის მოპოვების მხოლოდ თეორიული შანსი თუ არსებობდა. ამის მიუხედავად, მაინც გადავწყვიტეთ, ორივეს ეცადა ბედი უფროსებში.

დიორში ვაჟთა შეჯიბრებისას მოფარებულში ვიდექი და იქიდან ვადევნებდი თვალს, რა ხდებოდა დარბაზში, რადგან მეშინოდა, ჩემი მღელვარება ცოტნეს არ გადასცემოდა. მეოთხე სერიაში 100-დან 100 ქულა რომ აიღო, იმედი მომეცა, მაგრამ მომდევნო ორი სერია ვერ იყო სასურველი. ყველაფერი ბოლო გასროლას უნდა გადაეწყვიტა. ცოტნემაც გაითვალისწინა ჩემი დარიგებები და 10-იანში მოარტყა, რითაც რიოს საგზური გაინაღდა. უნდა გენახათ, რა ხდებოდა დარბაზში: ყველა მილოცავდა — იცოდნენ, რომ ჩემი შვილი იყო. განსაკუთრებით ბულგარელები აქტიურობდნენ. ჩემპიონატზე ცოტნეს წარმატებული გამოსვლა მათი დამსახურებაცაა: პირველობის წინ საწვრთნელი შეკრება ბულგარეთში გავიარეთ, რომელიც ძალიან ნაყოფიერი გამოდგა. ორგზის ოლიმპიური ჩემპიონი მარია გროზდევა და მისი მეუღლე ყველაფერს აკეთებდნენ, რომ მომზადებაში ხელი არ შეგვშლოდა, ზღვის დონიდან 2000 მეტრზე ვვარჯიშობდით. სუნთქვა გვიჭირდა, მაგრამ ტურნირისთვის რომ ჩამოვივაკეთ, უფრო თავისუფლად ვიგრძენით თავი. ერთ-ერთმა ბულგარელმა მწვრთნელმა შეკრებისას სპეციალურად ჩვენთვის ჩამოიყვანა მასაჟისტი. ასე რომ, გარჯა დაგვიფასდა და მიზანს მივაღწიეთ. საქართველოს სპორტის ისტორიაში ეს არის პირველი შემთხვევა, ჩვენს სახეობაში ერთბაშად ორმა მსროლელმა რომ მოიპოვა ოლიმპიადის საგზური. ჩემთვის ორმაგად სასიხარულოა, რომ რიოს ცეცხლის ხაზზე დედა-შვილი ერთად დავდგებით.

— ბატონი ვახტანგის რეაქცია როგორი იყო?

— მამაჩემი სულ ოცნებობდა, ღმერთმა იმას მომასწროს, დედაშვილი ოლიმპიადაზე ერთად გამოხვიდეთო. ამას უფრო 2020 წლის თამაშებისთვის ვარაუდობდა. ხშირად უთქვამს, რასაც დაგიგეგმავდი, ყოველთვის იმაზე მეტს აკეთებდი და მაოცებდიო. ახლა შვილიშვილმა გააოცა — ვადამდე აუსრულა წადილი.

— ევროპის ჩემპიონატზე თქვენს გამოსვლაზე რას იტყვით?

— ბოლო დროს მხედველობის პრობლემა მაქვს და ეს მიშლის ხელს, თუმცა, ვეცდები, ოლიმპიადამდე ყველაფერი მოვაწესრიგო. სამწუხაროდ, დიორში ბოლო გასროლით დავკარგე ფინალში მოხვედრის შანსი. ხუთი რვიანი ცხოვრებაში არ მქონია. მათთვის თითო ქულა რომ წამემატებინა, ევროპის ჩემპიონი გავხდებოდი, მე კი ფინალს მილმა აღმოვჩნდი. 16 წლის ლიზი კილაძეს კი ლიცენზიის მოსაპოვებლად ორი ქულა დააკლდა. ნიჭიერი გოგოა და იგი არაერთხელ აალაპარაკებს სპორტულ სამყაროს.

— ოლიმპიურ თამაშებზე პირველად 19 წლისამ იასპარეზეთ, თქვენი ვაჟი კი ჯერ მხოლოდ 18 წლისაა. შინაგანად მასში კონკურენტს ხომ არ ხედავთ?

— დედა-შვილს შორის ამგვარი დამოკიდებულება წარმოუდგენელია. მით უმეტეს, რომ მსგავსი გრძნობა უშუალო კონკურენტ სერბი იასნა სეკარიჩის მიმართაც არასდროს მქონია. უფრო მეტიც, უპირველეს მეტოქეებს — მარია გროზდევას და ორგზის მსოფლიოს ჩემპიონ მუნკბაიარ დორჯსურენს ევროპის პირველობისთვის მომზადებაში ვეხმარებოდი. სამწუხაროდ, მათ რიოს საგზურები ვერ მოიპოვეს.

ცოტნეს სავარჯიშო პირობების შედარება იმასთან, რაც მე საბჭოთა პერიოდში მქონდა, უბრალოდ, შეუძლებელია. ამის მიუხედავად მან ასეთ წარმატებას მიაღწია. ეტყობა, გენები და ნიჭი თავისას შვრება. ძალიან მუყაითია, დაუზარელი. ასე თუ განაგრძო, დარწმუნებული ვარ, ჩემს შედეგებსაც გადააჭარბებს...

დღეს სამი მარტია, დედის დღე. წარმატებული შვილის დედას, სახელოვან სპორტსმენს, ოლიმპიურ ჩემპიონსა და რიოს ოლიმპიადის ლიცენზიატ ნინო სალუქვაძეს ვუსურვებთ ამ დღესასწაულს!

ვაჟა დანელია

სურათზე: დედა-შვილი — ნინო სალუქვაძე და ცოტნე მაჭავარიანი.

ავტორის ფოტო.

◎ ფეხბურთი

ელიტრაუნდის წინ

საძართველოს 17-წლამდელთა ნაკრები ევრო 2016-ის ელიტრაუნდისთვის მზადებას განაგრძობს. ვასილ მაისურაძის გუნდმა მინსეილ მესხის სახელობის სტადიონზე სომხეთის 18-წლამდელთა ნაკრებს უმასპინძლა და 4:1 გაიმარჯვა.

ქართველმა ფეხბურთელებმა პირველი ტაიმი 0:1 წააგეს — სტუმართა კონტრშეტევისას მეკარე გუგეშაშვილი შეცდა, წინ გამოსულმა კარში დროულად დაბრუნება ვერ მოასწრო და პეტროსიანმაც ბურთი თავზე გადაუგდო. ეს მე-9 წუთზე მოხდა.

შესვენების შემდეგ მაისურაძის გუნდი უკეთ ათამაშდა და საბოლოოდ საწვრთნელი მატჩი დიდი ანგარიშით მოიგო: 43-ე წუთზე (ტაიმი ამ ასაკში 40 წუთი გრძელდება) მარცხენა მცველმა ლევან ხარაბაძემ ერთი მეტოქე ჩამოიშორა და ანგარიში გაათანაბრა — 1:1; 47-ე წუთზე გიორგი ჩაკვეტაძემ პენალტი გამოიყენა, სომეხთა მცველმა საჯარიმოში ხელით ითამაშა — 2:1; 56-ე წუთზე ხარაბაძემ დუბლი შეასრულა, ამჯერად გიორგი კუციას დროული პასი დააგვირგვინა ზუსტი დარტყმით — 3:1; 75-ე წუთზე კი ზურაბ დავითაშვილმა მეოთხე გოლი გაიტანა შაჰატუნის კარში — 4:1. საგოლე გადაცემა ლაშა ოზბეთელაშვილმა შეასრულა.

დღეს მეტოქეები კიდევ ერთხელ დაუპირისპირდებიან ერთმანეთს. ამხანაგური მატჩი ისევ 14 საათზე დაიწყება.

შეგახსენებთ: ვასილ მაისურაძის გუნდი ელიტრაუნდის მატჩებს 15, 17 და 20 მარტს თბილისში გამართავს — მეტოქეები რუსი, ბოსნიელი და იტალიელი თანატოლები იქნებიან.

გიორგი ზოთაძე

◎ რაგბი

მსოფლიო რეიტინგში საქართველომ იტალიას გადაასწრო

ამ დღეებში მსოფლიო რაგბის ახალი რეიტინგი გამოქვეყნდა, სადაც საქართველოს მორაგბეთა ეროვნულმა ნაკრებმა 71,45 სარეიტინგო ქულით მე-14 პოზიციიდან მე-13 ადგილზე აინაცვლა და იტალიის ეროვნული ნაკრები ჩამოიტოვა.

მე-13 პოზიციაზე მყოფი იტალიის ეროვნული გუნდი 6 ერის გათამაშების მე-3 ტურში უელსთან დამარცხდა, რამაც განაპირობა კიდეც ბორჯღალოსანთა დაწინაურება. ქართველმა მორაგბეებმა რაგბი ევროპის ჩემპიონატში 27 თებერვალს ესპანეთი 38:7 დაამარცხეს, თუმცა, ამჯერად ქართველებს სარეიტინგო ქულა არ შემატებიათ, მხოლოდ ქულათა მარაგი შეინარჩუნეს. რაგბი ევროპის ჩემპიონატზე საქართველოს ნაკრები ზედიზედ სამი გამარჯვების შემდეგ სატურნირო ცხრილს 100-პროცენტიანი შედეგით ლიდერობს.

მსოფლიო რეიტინგში პირველ ადგილს ახალი ზელანდია იკავებს. საუკეთესო ხუთეულში არიან ავსტრალია, სამხრეთ აფრიკა, უელსი და არგენტინა, 20-ეულში ვხვდებით აგრეთვე საქართველოს ნაკრების მომავალ მეტოქეებს რუმინეთს (მე-16) და რუსეთს (მე-18).

კობა კობახიძე

„თათრების სალოცავის“ მოვლა-„პატრონობა საჭირო არ არისო?!

რელიგიურ უმცირესობათა კულტურული მემკვიდრეობა

სოფელ **საყუნეთში მართლმადიდებელი ეკლესიის გვერდით მეჩეთი მდებარეობს. წარწერის მიხედვით ის 1927 წელსაა აგებული და სრულად არის შემორჩენილი. მეჩეთი წარსულში მაჰმადიან მესხებს ეკუთვნოდა, რომლებიც 40-იან წლებში შუა აზიაში გადაასახლეს. ამის შემდეგ საყუნეთის მეჩეთმა სარიტუალო ფუნქცია დაკარგა. მიტოვებულ მეჩეთს მეზობლად მცხოვრები მართლმადიდებელი ქალბატონი წლების მანძილზე უანგაროდ უვლიდა და პერიოდულად ასუფთავებდა. მას შემდეგ, რაც ჟურნალისტებმა ამის შესახებ სტატია მოამზადეს და ტოლერანტობის კარგ მაგალითად შეაფასეს, ქალბატონს უსაყვედურეს დაუდგენელმა პირებმა (სავარაუდოდ, სამართალდამცავი ორგანოების წარმომადგენლებმა) — „თათრების სალოცავის“ მოვლა-პატრონობა საჭირო არ არისო...**

ამონარიდი ამოღებულია ადამიანის უფლებათა ცენტრის ანგარიშიდან, სადაც საქართველოში რელიგიურ უმცირესობათა კულტურული მემკვიდრეობის მდგომარეობაზე არის საუბარი — ებრაულ, სომხურ, მაჰმადიანურ და კათოლიკურ სალოცავებსა და საკულტო ნაგებობებზე. ადამიანის უფლებათა ცენტრმა ჯამში, სულ 17 ღვთისმსახურების ადგილის და საკულტო ნაგებობების მდგომარეობა შეისწავლა და ფოტო და ვიდეომასალა გამოაქვეყნა. საერთო მდგომარეობა სავალალოა, რადგან მთელი რიგი ბიუროკრატიული პროცესები აფერხებს მათი მოვლა-პატრონობისა თუ სარგებლობაში გადაცემის ეტაპებს. თუმცა, თუ ობიექტურები ვიქნებით, არც მართლმადიდებლური ეკლესიების მდგომარეობაა დამაკმაყოფილებელი. ბევრ ძველ ნაგებობას სჭირდება ფინანსები, რესტავრაცია და ა. შ. ასე რომ, საზოგადოების, მით უფრო ხელისუფლების მხრიდან არატოლერანტობის ან სხვა რელიგიების მიმართ სიძულვილის ჭრილში ამ პრობლემის დანახვა, ნამდვილად ტენდენციურობა იქნებოდა.

ასობით ნაგებობაა საქართველოში, რომლის რესტავრაციასაც ქვეყნის ბიუჯეტი ნამდვილად ვერ გასწვდება. ამდენად, ქვეყნისთვის უკეთესია, ესა თუ ის სალოცავი კონკრეტული პატრონაჟის ქვეშ მოექცეს, მაგრამ გასათვალისწინებელია უამრავი ნიუანსი, რომელსაც მემკვიდრეობის თვალსაზრისით ფრთხილი და წინდახედული მიდგომა სჭირდება. **მაგალითად, სომხური სამოციქულო ეკლესია 600-მდე ტაძარზე აცხადებს პრეტენზიას და ამბობს, რომ ეკლესიის ისტორიული კუთვნილებაა... რაც ძალიან საეჭვოდ ეჩვენება საქართველოს საპატრიარქოს.** მაგალითად, ნორაშენის ღვთისმშობლის მიძინების სახელობის ეკლესიასთან დაკავშირებით საპატრიარქოს მდივანი **მამა მიქაელი** (ბოტკოველი) ამბობს, რომ **„ერთმნიშვნელოვნად იმის თქმა, თითქოს ეს სომხური ძეგლია, არ შეიძლება. არქეოლოგიური გათხრები მიმდინარეობს და შედეგებიც გამოქვეყნდება“.** თავის მხრივ, სომეხთა სამოციქულო წმინდა ეკლესიის საქართველოს ეპარქიის წარმომადგენლები აცხადებენ, რომ ნორაშენის სომხური წარმომავლობა ეჭვს არ იწვევს და ეპარქიას ეს თემა სადავოდაც არ მიაჩნია. „სურბ მინას“ ტაძარს კულტურული მემკვიდრეობის ძეგლის სტატუსი 2007 წელს მიენიჭა, თუმცა, ეკლესიის ეზოში დღემდე დევნილები ცხოვრობენ. „სურბ მინას“ სადავო ტაძრისა და მიმდებარე ტერიტორიის კერძო პირებზე გასხვისების კანონიერების შესწავლასთან დაკავშირებით გამოძიება დაიწყო 2014 წელს. გამოძიება შეწყდა, რადგან პროკურატურამ მიიჩნია, რომ საქმეზე არ არსებობდა სისხლის სამართლებრივი ქმედების ნიშნები...

ზოგადად, სომეხთა სამოციქულო წმინდა ეკლესიის საქართველოს ეპარქიის განცხადებით, ბოლო წლებში რელიგიის სახელმწიფო სააგენტოს მხრიდან გარკვეული ნაბიჯები გადაიდგა რელიგიური უმცირესობის წარმომადგენლებისთვის (მუსლიმები, ებრაელთა თემი) საკულტო ნაგებობების სარგებლობაში გადაცემასთან დაკავშირებით, თუმცა, სომეხთა სამოციქულო წმინდა ეკლესიის საქართველოს ეპარქიას დღემდე არ დაბრუნებია არცერთი ეკლესია, რომელიც მრევლს საბჭოთა ხელისუფლებამ ჩამოართვა.

პრეტენზიები აქვთ კათოლიკური ეკლესიის წარმომადგენლებს ბათუმის, ქუთაისის სადავო საკულტო ტაძრებთან დაკავშირებით. საპატრიარქოს მდივანი მამა მიქაელი ადასტურებს, **„რომ ბათუმისა და ქუთაისის ტაძრები არქიტექტურული იერსახით მართლაც კათოლიკურია, მაგრამ მათი კუთვნილების საკითხი მარტო ამ ნიშნის მიხედვით არ უნდა გადაწყდეს. გასათვალისწინებელია ისტორიული, არქეოლოგიური და სხვა გარემოებები“.** ალბათ, ისტორიული მრავალსაუკუნოვანი თანაარსებობის მანძილზე ებრაელები ის ხალხია, რომელსაც არასოდეს ჰქონიათ კონფლიქტი ქართველებთან, მით უფრო რელიგიურ ნიადაგზე. ბუნებრივია, ებრაელთა კულტურულ მემკვიდრეობასაც საქართველოში გარკვეული პრობლემები აქვს, მათ შორის საკანონმდებლო-ადმინისტრაციულ დონეზე, თუმცა... როგორც საქართველოს ებრაელთა კავშირის თავმჯდომარე მერაბ ჩანჩალაშვილი აღნიშნავს, **„მთავარია, პრობლემას რა კუთხით მივუდგებით: ბოთლი ნახევრად სავსეა თუ ნახევრად ცარიელი?! ხელისუფლება ძალიან კორექტულად და ფრთხილად უდგება ამ საკითხებს. ასე რომ, მხოლოდ საყვედურის გამოთქმა მათი მისამართით, დაუნახაობა იქნებოდა“.**

ადამიანის უფლებათა ცენტრის ანგარიშში წერია: „შემაშფოთებელია, რომ ზოგჯერ ძეგლების დაზიანება და ნგრევა ხდება მიზანმიმართულად, როგორც ეს მოხდა ფლატის მეჩეთის შემთხვევაში, როცა მეჩეთის პერანგის ქვები ზარზმის მონასტრის ტერიტორიაზე გადაიტანეს. ზოგჯერ, ძეგლების დაზიანება განპირობებულია ელემენტარული უცოდინრობით, კულტურული მემკვიდრეობის მაღალი მნიშვნელობის შეუფასებლობითა და დაუფასებლობით, რის გამოც საზოგადოება არ მიიჩნევს მოვალედ, უპატრონოს და მოუაროს ამ საუნჯეს. საბოლოოდ, კი ყველაფერი მაინც თავს იყრის სახელმწიფოს პასუხისმგებლობასთან“.

ანგარიშის მკვლევარები მიმართავენ შინაგან საქმეთა სამინისტროს და მთავარ პროკურატურას, რათა თანასწორობის პრინციპის გათვალისწინებით, გამოიძიონ და პასუხისგებაში მისცენ სამართალდამრღვევი პირები, რომელთაც რელიგიური შეუწყნარებლობის ან სხვა მოტივით მოახდინეს რელიგიურ უმცირესობათა კულტურული მემკვიდრეობის ხელყოფა.

დღეისათვის საქართველოს კანონმდებლობა საკულტო ნაგებობების რელიგიური გაერთიანებისთვის მხოლოდ სარგებლობის უფლებით გადაცემის შესაძლებლობას იძლევა. დაუშვებელია, სინაგოგებისა და მეჩეთების პრივატიზება. ამასთან, სახელმწიფო მართმლადიდებლური ეკლესიის საკუთრებად ცნობს საქართველოს მთელ ტერიტორიაზე არსებულ მართლმადიდებლურ ტაძრებს, მონასტრებს (მოქმედს და არამოქმედს), მათ ნანგრევებს, აგრეთვე მიწის ნაკვეთებს, რომლებზეც ისინია განლაგებული...

თეა მოსია

გამომცემლობა „ინტელექტი“ ღრმა მწუხარებით იუწყება, რომ გარდაიცვალა ცნობილი ლიტერატორი და თვალსაჩინო მთარგმნელი

დავით კახაბერი

და სამძიმარს უცხადებს განსვენებულის ოჯახს.

⊙ კრიმინალი

მკვლელობა დიღომში

დიღომში, ჩაჩავას ქუჩაზე მდებარე ერთ-ერთი ავტოსახელოსნოს დარაჯი მოკლეს. როგორც მედიანიუსს შსს-ში განუცხადეს, შემთხვევა 28 თებერვალს მოხდა და სამართალდამცველებმა 68 წლის მამაკაცის მკვლელობაში ბრალდებული პირები ცხელ კვალზე დააკავეს.

ალკოჰოლის ზემოქმედების ქვეშ მყოფ ბრალდებულებს ფიზიკური დაპირისპირება მოუვიდათ დარაჯთან და სახის არეში მრავლობით დაზიანება მიაყენეს.

ზვიად ყ. მიყენებული მძიმე დაზიანებებისგან შემთხვევის ადგილზე გარდაიცვალა, ხოლო ბრალდებულები მიიმალნენ. სამართალდამცველებმა ცხელ კვალზე ჩატარებული ოპერატიულ-საგამოძიებო მოქმედებების შედეგად, ლაშა კ. და მინდია მ. მომხდარიდან რამდენიმე საათში თბილისში დააკავეს.

ძვირფასეულის გატანაში ხუთი ათასს ითხოვდა

სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის ანტიკორუფციული სააგენტოს და შინაგან საქმეთა სამინისტროს გენერალური ინსპექციის თანამშრომლებმა ერთობლივად ჩატარებული ოპერატიულ-სამძებრო და საგამოძიებო მოქმედებების შედეგად, ქრთამის აღების ფაქტზე შინაგან საქმეთა სამინისტროს სსიპ დაცვის პოლიციის დეპარტამენტის საავიაციო უშიშროების სამმართველოს მეორე განყოფილების უფროსის მოადგილე გიგა კიკნაველიძე დააკავეს.

გიგა კიკნაველიძემ მოქალაქეს 50 000 აშშ დოლარის ღირებულების ოქროს ნივთების თბილისის საერთაშორისო აეროპორტის საკონტროლო-გამშვები პუნქტის გვერდის ავლით გატანის სანაცვლოდ 5000 ლარი მოსთხოვა.

გიგა კიკნაველიძემ თბილისის საერთაშორისო აეროპორტის მიმდებარე ტერიტორიაზე, ქრთამის სახით მის მიერ მოთხოვნილი 5000 ლარი აიღო, რა დროსაც იგი ბრალდებულის სახით დააკავეს.

ტრაგედია ბოდბეში

სიღნაღის რაიონის სოფელ ბოდბეში ბუნებრივი აირის აფეთქების შედეგად 6 წლის ბავშვი დაიღუპა. შემთხვევა ქოქიაშვილების ოჯახში გვიან ღამით მოხდა.

თვითმხილველების განმარტებით, ოჯახის დიასახლისს გაზქურაზე დადგმული წყალი დარჩა, რომელმაც ადუღების შედეგად გაზის ჩაქრობა და ოთახში ბუნებრივი აირის დაგროვება გამოიწვია. აფეთქება კი იმ დროს მოხდა, როდესაც ოთახში ქოქიაშვილების მცირეწლოვანი ბავშვი შევიდა. ადგილზე გამოძახებული იყო სახანძრო-სამაშველო სამსახურები, თუმცა ბავშვის გადარჩენა ვერ მოხერხდა.

მამაკაცს მატარებელი დაეჯახა

დიდუბის მეტროს მიმდებარე ტერიტორიაზე მამაკაცს მატარებელი დაეჯახა. მამაკაცი ადგილზე გარდაივალა.

საქართველოს რკინიგზაში აცხადებენ, რომ მამაკაცი ლიანდაგის იმ ნაწილზე გადადიოდა, სადაც ფეხით მოსიარულეთათვის გადაადგილება აკრძალული იყო.

„ქარიშხალი ჭიქაში“ ჩაწყნარდა

დაბა ადიგენში დაპირისპირებულ მუსლიმებსა და მართლმადიდებლებს შორის შეთანხმება შედგა. მხარეები შეთანხმდნენ, რომ მართლმადიდებელი მიცვალებულებისთვის განკუთვნილი სასაფლაო გაფართოვდება.

ამის შესახებ მედიანიუსთან საუბარში არასამთავრობო ორგანიზაცია EMC-ის სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების პროგრამის დირექტორმა თამთა მიქელაძემ განაცხადა.

მისი თქმით, ამჟამად დარჩენილია პატარ-პატარა ტექნიკური დეტალები, როგორიცაა, მაგალითად, სასაფლაოს შემოღობა, შესასვლელები და სხვა.

„შეთანხმება შედგა. სასაფლაო გაფართოვდება. თუმცა პატარ-პატარა ტექნიკური დეტალები რჩება“, — აღნიშნა ჩვენთან საუბარში მიქელაძემ.

სამცხე-ჯავახეთის გუბერნატორ აკაკი მაჭუტიძის თქმით კი, მიღწეული შეთანხმების თანახმად, სასაფლაო პირობითად მსუბუქი ღობით იქნება შემოღობილი, რომლის ნაწილი მიეცება მუსლიმანებს, შესასვლელი კი მუსლიმებისა და მართლმადიდებლებისთვის ცალ-ცალკე იქნება.

გავრცელებული ინფორმაციით, შეხვედრაზე დასავლეთ საქართველოს მუფთი ბეგლარ ქამაშაძე, მისი მოადგილე ადამ შანთაძე და სამცხე-ჯავახეთის მუფთი მამუკა ვაშაყმაძე იმყოფებოდნენ. მართლმადიდებელ მრევლს მამა ანთიმოზი წარმოადგენდა. ასევე შეხვედრაზე იყმოფებოდნენ სოფელ ადიგენიდან მუსლიმი თემის სამი წარმომადგენელი და სამი ქრისტიანული თემის წარმომადგენელი.

◎ დიდოსტატი აზერბაიჯანიდან

კავკასიური სულით გამთბარი

— ჩემი ნამუშევრების თბილისში გამოფენა დიდი ხნის ოცნება იყო, რომელიც ამისრულდა კიდეც, რისთვისაც მადლობას მოვახსენებ ყველას, ვინც მის ახდენაში ხელი შემიწყო, — ამ სიტყვებით მიმართა გაზაფხულის შემობრძანებასთან ერთად საქართველოს დიმიტრი შევარდნაძის სახელობის ეროვნული მუზეუმის სამ დარბაზში გამართულ გამოფენის გახსნაზე დიდებულმა მხატვარმა, აზერბაიჯანის მხატვართა კავშირის თავმჯდომარემ ფარჰად ხალილოვმა.

სახვითი ხელოვნების გამორჩეული წარმომადგენლის, რომლის ნამუშევრები, უწინარესად, ლაღი, გამორჩეულად პიროვნული თვალთახედვითაა შექმნილი, კავკასიელი კაცისთვის სულის ნაწილად იქცა. ნამუშევრების დამთვალიერებელთა და თაყვანისმცემელთა შორის იყვნენ ლონდონის („სათჩის“ გალერეაში), ბერლინის (საქალაქო ადმინისტრაციის გალერეაში), მოსკოვის (მხატვართა ცენტრალურ სახლში ტრეტიაკოვის სახელობის სახელმწიფო გელერეაში), პარიზის („ლა სიტე ინტერნასიონალ დეზ არტში“), კიდევ ორმოცზე მეტ ქვეყანაში გამართული მხატვართა ჯგუფური გამოფენების სახვითი ხელოვნების თაყვანისცემლები. მათ შორის, ცხადია, მშობლიური ბაქოელი ხელოვნების მოყვარულებიც.

სახელოვანი შემოქმედის პერსონალური გამოფენა საქართველოს ეროვნულ გალერეაში გენერალურმა დირექტორმა დავით ლორთქიფანიძემ გახსნა, სიტყვები წარმოთქვეს აზერბაიჯანის ეროვნული მუზეუმის დირექტორმა ჩინგიზ ფარდალიევმა, საქართველოს კულტურის ყოფილმა მინისტრმა, პროფესორმა ვალერი ასათიანმა.



გამოფენა, რომლის გახსნასაც თბილისის საზოგადოებრიობის, მათ შორის, ცხადია, აზერბაიჯანული დიასპორის მრავალი გამორჩეული წარმომადგენელი დაესწრო, 22 მარტამდე გასტანს.

ოთარ მერიშვილი
ელგუჯა ნადარეიშვილის ფოტო.

გამოიწერეთ:
6 თვით — 60 ლარი,
1 წლით — 120 ლარი.
მიმართეთ: „საქართველოს რესპუბლიკის“ რედაქცია — 2 93 37 87; 599 79 76 79; „მაცნე“ — 2143906; „ელვასერვისი“ — 2 388 012; „პლანეტა-ფორტე“ — 2 988 990; „პრესა-2012“ — 2341140; „ოლიმპი“ — 599 15 19 69; „პრესა+“ — 551555444; „ჯეომედია“ — 593 977 888.
ჩვენი მისამართია:
ქ. თბილისი, ი. მაჩაბლის 7.
ხელმოწერის ინდექსი
66434

საქართველოს
რესპუბლიკა
SAKARTVELOS
RESPUBLIKA
მაჩაბლის ქ. №7
ინდექსი 66434
მთავარი რედაქტორი
სპარტაკ ძოგულია
293-37-87
599 36-00-35
პასუხისმგებელი რედაქტორები:
გურამ გოგიაშვილი
599 53-76-16;
ალეკო ასლანიშვილი
599 56-81-86;
რუსლან რუსია
599 17-21-21;
პასუხისმგებელი მდივანი
მამუკა ვაშაკიძე
514 33-33-24
გამომცემლები:
შპს „თანადგომა -1-გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“
ტ: 599 79-76-79
შპს „ახალი საუკუნე“
იბეჭდება გამომცემლობა „კოლორში“
რკინიგზის ჩიხი №20
uac(უაკ)070.4(479.22)
ს—323
ISSN 2233-3851
9 772233 385001

ავტორთა საყურადღებოდ!
რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით. ავტორთა მოსაზრებები, შესაძლოა, მუდამ არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას. ფაქტების სიზუსტეზე პასუხს აგებენ ავტორები.

◎ უსიტყვოდ



ამირან ერაძის ნახატი.

◎ ინტერნეტიდან

ვალერიას სცენა შეუყვარდა

იტალიელი მობურთალის კრისტიან მაჯიოს მეუღლე ვალერია მონტეფოგო ამ ბოლო პერიოდში თეატრალურმა ხელოვნებამ, კონკრეტულად კი მსახიობობამ გაიტაცა და ამბობს, ახლალა მივხვდი, რომ სცენის მტვრის ყლაპვა და მსახიობობა თურმე ჩემს ცხოვრებაში ერთ-ერთ საუკეთესო შეგრძნებებს იწვევსო.

ვალერია პროფესიით მუსიკოსია და რამდენიმე ნაკლებად ცნობილი თეატრალური კომპოზიციაც აქვს დაწერილი, მაგრამ სად პარტიტურათა ფურცვლა, როიალთან ღამეების თენება და ამის მიუხედავად მაინც დაუფასებლობა და სად, როდესაც სცენაზე დგახარ და თავპატიჟდაუდებლად ამბობ: „ჩემი კუკარაჩა ნანახი გაქვსო?!“.

სხვათა შორის, ვალერია მონტეფოგო და კრისტიან მაჯიო საკმაოდ გვიან დაქორწინდნენ და როდესაც ამ წყვილმა ჯვარი იფსკვნა, ნამეტნავად ცქვიტები და ახალგაზრდები არც ერთი არ იყო. ახლა მსახიობობაზე ფიქრი ცოტა დაგვიანებული ხომ არაა?...

როსტომ რაჭველიშვილი

რეკლამა მაჩაბლის ქ. №7.
„საქართველოს რესპუბლიკაში“ 29 3-37-87

გაზეთის შემდეგი ნომერი გამოვა შაბათს, 5 მარტს

◎ ცინცხალი ანეკდოტები

პარკინსონსა და ალცჰეიმერს შორის თუ მიდგება არჩევანი, პირადად მე პარკინსონს ავირჩევდი: გაცილებით უკეთესია ცოტა კონიაკი შარვალზე დაგესხას, ვიდრე ის დამავიწყდეს, მთელი ბოთლი სად დამალე.

* * *

ახალგაზრდა ეკითხება ქალიშვილს:
— მითხარი, ძვირფასო, შეძლებულ კრეტინს თუ გაყვები ცოლად?
— შენ რა, მდიდარი ხარ?

* * *

ძალის ლოგიკა ყოველთვის წარუშლელ კვალს ტოვებს მამაკაცის ფსიქიკაზე.

* * *

— **თუკი** თქვენ რაღაცით დაკავებული ხართ, როგორ უნდა გაიგოთ, სასარგებლო საქმეს აკეთებთ თუ არა?
— ძალიან მარტივად: სასარგებლო საქმის კეთება მალევე მოგბეზრდებათ.

* * *

სილიკონიანი მკერდის მქონე ქალების მოყვარულთა საყურადღებოდ: მთლიანად სილიკონისგან დამზადებული ქალი ექსპლუატაციაში გაცილებით იაფი ჯდება, ზედმეტს არასდროს ტლიკინებს, ხოლო როცა მოგბეზრდებათ — დაჩუტავთ და კარადაში შეინახავთ.

* * *

— **ცოლმა** სამი შვილი მაჩუქა!
— მაგარია! ბალღები ვისია?

* * *

— **პეტკა**, რატომ გაქვს საჯდომზე ჩექმის ანაბეჭდები?
— იმიტომ, რომ საპარაშუტო სკოლაში ჩავეწერე!

გმადლობთ, რომ კითხულობთ ძველ და სანდო გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკას“,
ყოველი ნომრის შეძენით თქვენ იცავთ თქვენს უფლებებს!